


კვირა, 11 ივლისი ფასი 10 კაპ.



† თამარა ძნელაძე
(გასტროლების გამო პროვინციაში)



მწიგნობარი ილია ხონელი (ბახტაძე)
(გარდაცვ. 10 წ. შესრულების გამო. † 13 ივლ. 1900 წ.)

ექ. ვ. დ. ლამბაშიძის

# სანატორიუმი

## პატარა ცემში

ბაკურიანის რკინის გზაზე, 4,400 ფ. სამაღლე

**გაიხსნება 15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე**

**ორის განყოფილებით, ერთი— საბავშვო, მეორე—დიდებისათვის.**

პირობების გასაგებად წერილით უნდა მიმართონ **ბორჯომით** პატარა ცემს ექიმს **ვახტანგ ლამბაშიძეს.** 3—10

---

### თბილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით ღ სამშობიარო განყოფ.**

დია არის ყოველ დღე გარეშე —— მოსიარულე ავადმყოფთათვის

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10\frac{1}{2}$—11 საათ.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალის. ყოველ-დღე კვირის გარდა 11—1 საათ.

**ბურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ. ყოველ-დღე კვირას გარდა $2\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ საათ.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბათ. 10—12 საათ,

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი ორშ. და ოთხშაბ. 9—10 საათ.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 საათ.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 საათ.

**პირადოვი რ. ბ.** ყოველ-დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ვ. ა.** ყურ., ყელის, და ცხვირ. ყოველ-დღე გრდა პარას. 2—$2\frac{1}{2}$ საათ

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირ. ყოვ.-დღე 9—11 საათ.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი **ე. გ. ფედოროვი.**

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანათიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით.

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. № 695.

**ვ. ვაშაყმაძე** —ყოველ დღე 9—11 საათ. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1\frac{1}{2}$—$2\frac{1}{2}$ საათ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$ საათ. სიფილისი, კანისა და ვენ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. დი ქალებისა, 1—2 საათ.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ.. ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 საათ.

**ვ. გ. ფედოროვი** ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური ღ ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა, ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

---

## „ცოდნა“-ს **წიგნის მაღაზია**

(გიორგიევის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) ავრცელებს სასარგებლო შინაარსიან წიგნებს და საოჯახო სურათებს. იქვე ისყიდება ქართულ-რუსული სხვა-დასხვა სახელმძღვანელოები მისამართი: Тифлисъ, Книжный Магазинъ. «Цодна» Іос. Ник. Мерквиладзе. მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.**

№ 27

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. Тифлисъ. Редакція «Театри да Цховреба» Іос. Зах. Имедашвили

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირის-პირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. დ საღ. 6—7 ს.

ტელეფონი № 862

№ 27 კვირა, 11 ივლისი 1910

**რ ე დ ა ქ ც ი ა** დაბეჯითებითა სთხოვს ხელის მომწერელთ ფულის გამოგზავნა დააჩქარონ.

## 11 ივლისი 1910 წ.

**ქ ა რ თ უ ლ ი** იმაზე დამამხობელი არაფერი **დრამატურგია**. რია, როდესაც ადამიანს დაარწმუნებენ—ყოველგვარ ძალღონეს მოკლებული, არარა ხარო ... დაუკარგეთ კაცს რწმენა—და იგი სიცოცხლის ნიშან-წყალსაც დაჰკარგავს... ასეთ მოვლენას ვამჩნევთ ქართველ დრამატიულ მწერლებში...

ჩვენის საზოგადოების ერთ ნაწილში მეტად მავნე აზრია გავრცელებული, სახელდობრ ისა, რომ ყოველივე შინაური, თავისი, „სუსტია“, „უმაქნისი“, ხოლო ყოველივე უცხო—„მშვენიერი“, „დიდებული“...

ამით, რასაკვირველია, იმისი თქმა კი არ გვინდა—უცხოეთის ნაწარმოებნი იდევნებოდეს. პირ-იქით, ფრიად საჭიროა, რაც შეიძლება, მდიდარი ლიტერატურა გვქონდეს უცხოეთიდან გადმოღებული, მაგრამ არც ისაა შესაწყნარებელი, რომ ორიგინალ ავტორებს უგულებელ-ჰყოფდენ...

ქართველ დრამატურგთადმი გულციობა უნდა ჩაითვალოს ერთ მთავარ მიზეზად, რომ ქართული დრამატურგია ჯერ კიდევ წელში ვერ გამართულა, საკუთარი გზით ვერ მოუხერხებია სიარული...

თუ ჩვენში ახალგაზდა ავტორმა პირველი ნაწარმოებით წაიბორძიკა, ე. ი. მისი ნაწარმოები „საზოგადოებას“ არ მოეწონა (ქართველი ავტორის პიესის სანახავად ეს „საზოგადოება“ ხომ ყოველთვის წინასწარ მოსაზრებით აღჭურვილი მიდის თეატრში:—რა უნდა იყოს, არ ევარგებაო!), პიესას სამუდამოდ მოხსნიან რეპერტუარიდან და ავტორსაც ისეთ დღეს დააყენებენ, რომ ბედს იწყევლოს და ქუჩაში გავლისა ერიდებოდეს—ეს რა ღმერთი გამიწყრა, პიესა დავჯღაბნეო!..

სხვადასხვა ქვეყნის წარსული მაგალითები-კი სულ სხვას გვეუბნება. ევროპის კლასიკების პირველი ნაწარმოებნი, ვინ იცის, საზოგადოებამა და კრიტიკამ როგორ ქარ-ცეცხლში არ გაატარა, მაგრამ ავტორის უნარი სამუდამო კი არ უარ-უყვიათ,—წაუხალისებიათ, ავტორს უმუშავნია, შეუსწორებია, პიესა გაუმეორებიათ, და იმავე საზოგადოებისა და კრიტიკის მოწყალებით პირველად უარყოფილი ავტორნი ბოლოს „უკვდავთა“ შორის ჩარიცხულან...

ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობამ,—რომელიც თავგამოდებით მუშაობს მომავალი სეზონისთვის, დიდ დასს ადგენს და თეატრის გამგე-უფროსიც შეიქმნა,—აუცილებლად ამ გარემოებასაც უნდა მიაქციოს ყურადღება: ფართე გზა გაუხსნას ახალგაზდა ქართველ დრამატურგებს... ქართულ ახალ ორიგინალურ პიესებით რეპერტუარის გამდიდრება უფრო გაალოცხლებს სეზონს, და საზოგადოებაშიაც მეტს თანაგრძნობას გამოიწვევს...

ორიგინალური პიესები-კი, სუსტია თუ ძლიერი, დღეს ბევრი გვაქვს...

დაე, სუსტნი იყვნენ ავტორნი, სუსტი იყოს მათი პირველი ნაწარმოები, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯი იქნება და ვინ არ იცის, რომ პირველ დამარცხებას (თუ დამარცხდენ), ხშირად გამარჯვება მოჰყვება ხოლმე...

ვისაც დამარცხებისა ეშინია—ის ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებს...

**მოჯადოებული** ჩავლილი ბევრი მინახავს, **მდგომარეობა.** ამოვლილი-კი არაო, ზღაპრულს დედაბერს ეს სიტყვები თითქო ჩვენის ერის „მარილზე“ უთქვამს... თითქო საერთო სულიერმა დაცემამ შეგვიპყრო, იდეალი გაჰქრა და რწმენა მოგვესპო, სიბნელე დაგვეუფლა და წინმსრბოლი ვარსკვლავიც სადღაც ჩაგვენთქაო, - სითაც გაიხედავ—ქალაქში თუ სოფელში, ნასწავლში თუ უსწავლელში, ყველგან ერთნაირი წუწუნ-ყვედრება მოისმის სულიერად დაცემულის ადამიანისა, თითქოს მასში სრულიად ჩამქრალიყოს საკუთარი უნარი, საკუთარი „მე“, შინგანი, წინწამწევი, მაცოცხლებელი ძალა...

კვლავ ვიგლოვ-ვიტიროთ?!

ჩვენი და სხვადასხვა ერთა ისტორია მრავალს მაგალითს გვაძლევს იმისას, თუ ქვეყნის დამხობის ხანაში, ერის სულიერად დაცემის დროს, კერძო პიროვნებანი, თავგამოდებული ადამიანნი, საკუთარის რწმენით აღტყინებულნი, რა რიგ წამოაყენებდენ ხოლმე ფეხზე თავის თვალშივე არარად ქმნილ ერს...

ჩვენი ქვეყანა დღეს იმიტომ კი არ განიცდის სულიერ გასაჭირს, საზოგადოებრივ არარაობს, რომ ნასწავლი ხალხი—ინტელიგენცია—არა ჰყავს, ანუ მიწის მხვნელ-მთესველი-მშრომელი გლეხი, მუშა-ოსტატი, სულიერი მამა ანუ მხედარი, არამედ იმიტომ, რომ არა ჰყავს თაოსანი კაცი და იგი, ჩვენი ქვეყანა, გახრიოკდა, გახრიოკდა იმიტომ, რომ სულიერად ძლიერი, თავგამოდებით მოქმედი არჩეულ გზით მტკიცეთ მოსიარულე მებრძოლი არ მოიპოვება...

მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ასეთ ადამიანს წარმოშობს ხალხი...

ჩვენ გვწამს, რომ „ჩავლილი“ და „ცეცხლის ზღვაში“ განბანილი, შესძლებს უკან დაბრუნებას, გოლიათურის მკლავით და სამსონისებურ სულის სიმტკიცით აღჭურვილი...

ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ ასეთ პიროვნებათ, კერძო თაოსანთ, პირად ინიციატორთ ძალუძთ ხალხი აწინდელ მოჯადოებულ მდგომარეობიდან გამოიყვანონ...

# სიმი

(ს. აბაშელისა)

ოდეს სიჩუმე ღამის მთა-ბარს გარს მოეხვევა
და ცად ჩაჰქრება ვარსკვლავთა გუნდი,
მდინარის პირზე მთლად მიკვდება ზეფირის რხევა,—
მაშინ გაჩუმდი!

—

დილის კისკასზე, როს სიცოცხლე ირგვლივ იფეთქებს,
სივრცეს დაუთმობს სხივებს ბინდ-ბუნდი,—
სულის სიმაღლით დაეუფლე ზეცის ციაგებს
და კვლავ დადუმდი!

—

მაგრამ, როდესაც გიზღუდავენ ნება-უფლებას,
სულსა გიხუთავს ჯალათი... ხუნდი,—
სიმად გაები ელოსის ჩანგს, უკვდავებას,
მძლავრად ამქუხრდი!

**ნ. ჩხიკვაძე და გ. ჩხეიძე**



ია ეკალაძე

# ამაოდ—კვნესანი

## (ტუსაღის მონოლოგები)

### I

### მარტოობა

თქვენ!—განცხრომის ძენო, ცხოვრების მეჯლისზე ფეხმორთხმით მჯდომარენო, სხვის უბედურობით გაბედნიერებულნო, მოცინარნო და მოხარხარენო, მშრომელთა ოფლით მორთულნო და მოკაზმულნო—თქვენ-მეთქი, მაძღარნო, იცით. განგიცდიათ კი რა არის **მარტოობა**?!.-.

ისეთი მარტოობა, როდესაც ძლიერი ამა ქვეყნისა საალდგომო კრავივით წაგავლებენ კისერში ხელს და გრძნობით აღსავსეს, მოძმისათვის თავ-გამოდებულს, სიკეთისა და სათნოების მქადაგებელს სატუსაღოში გიკრავს თავსა!..

მეტყველთა შორის უმეტყველესს, მებრძოლთა შორის უმებრძოლესს, მგრძნობიარეთა შორის უმგრძნობიარესს, გაგულქვაებული ხიშტიანი დარაჯიც კი დაგცინის და ცოტა რამ არის საკმაო, რომ ძალათ განმარტოებულს ფიქრთა, მწარე ფიქრთაგან სევდამოსილი შუბლი ტყვიით გაგიგმიროს!...

ზიხარ მობლუნძული დარკინულ სარკმელთან და გაფითრებული გადაჰყურებ აბობქრებულ ქალაქს, ტრიალ მინდვრებს, შორს, შორს გამდგარ მთებს და... ჰფიქრობ და ჰფიქრობ დაუსრულებლათ, დილიდან საღამომდე, საღამოდან დილამდე... ოხრავ, ჰკვნესი, იტანჯები, გული გელადრება, პირში ნერწყვი გიშრება: გინდა იყვირო, იშფოთო; გინდა დაჰგმო მთელი სამყარო, მთელი კაცობრიობა. გინდა ერთის შეტევით, ერთის ხელის გაქნევით გააცამტვერო ზნე და ჩვეულება გაავზნევებულ მბძრძანებელისა; გინდა ერთის შებერვით, ერთის ამოკვნესით აღგავო პირისაგან ქვეყანისა წესი და ადათი უკეთურთა, მაგრამ...

ოთხკედელშუა გამომწყვდეული მარტოოდენ შენ თავს ებუტბუტები, ებრძვი, ეომები და... დაოსებული რეტიანივით დაფროტიალებ მყრალის საკანის კუთხიდან კუთხემდე! შენს გულის ტკივილს დარაჯის ერთგვარი, ერთხმოვანი და შავბედითი ბაკუნი ფეხისა ერთი ორათ აორკეცებს და... ცრემლი მარტოობისა და უმწეობისა გახურებულ ღაწვებს გიშანთავს, თვალთ გიბნელებს, გრძნობას გიბრუებს, გულის ცემას გიმატებს... დაობლებუბული, დამცირებული, ნოტიო და დახავსებულ საკანში გამომწყვდეული, უბედური, უზომო უბედური ხარ ამ დროს!... მაგრამ... ჩუ!

აგერა, მოისმა უფრო მწვავე გმინვა სხვა საკანიდან, აჟღერდა, ახმაურდა ბორკილებიც... სევდიანმა, გულსაკლავმა ღიღინმა შენზე უფრო უბედურის ტუსაღისამ საცოდავობით აავსო მთელი მიდამო!...

დაბორკილი, დაჯაჭვული ტუსაღი იგი მიბობღებულა ხელისოდენა, დარაზულ ფანჯარასთან და თვალცრემლიანი შეჰბღუის ამ ერთი ბეწო ნაჭერს ცისას, რომელიც ჯერ **არ**, თუ **ვერ** წაურთმევიათ... მაგრამ!...

არა! ეს ღიღინი, სიმღერა არ არის! ეს მოთქმაა მოშხამულის გულისა, ეს კვნესაა განწირულის სულისა, ეს გასამართლებაა გაძალლებულის წუთისოფლისა!...

დღეს საღამოთი თუ არა, ხვალ დილით მაინც, გვირგვინს ქმნილებისას ნაძირალი, ფეხის-მლოკავი მონა ღვთიურ ქმნილებათა გამამხეცებელისა კატასავით ჩამოაკონწიალებს სარჩობელაზე და... ჩაჰქრება სიცოცხლე ადამიანისა!

გესმით!!... ჩაჰქრება-მეთქი სიცოცხლე, გულისთქმა, სულის-კვეთება **ა-დ-ა-მ-ი-ა-ნ-ი-ს-ა**!...

— ვის, ვისა აქვს ნება ამ ღვთიურ ნიჭის მოსპობისა?!... სად, სად არის ღმერთი, რჯული, სამართალი,?!—ჰგოდებს ტუსაღი იგი

უბედური და... მოსთქვამს თავის დაკარგულ ბედნიერებას, დაობლებულ ცოლშვილს, დამგლოვიარებულ მშობლებს, დამონებულ თვისსა და ტომს, დაბრიყვებულ სამშობლოს... მოთქმა იგი თავგამოდებით აწყდება დაობებულ საპყრობილეს, მის დარკინულ ფანჯარებს, მზის სხივებთან ერთად იჭრება, ჰკვეთს ადამიანთა სისხლით დამთვრალ და უმანკო ბავშვთა მკვლელობით გარკინებულ გულსა და გონებას თვით უსაშინლესის დამნაშავისასაც-კი და მთელი სატუსაღო ფსკერიდან ჭერამდე, ასი და ათასი ტუსაღი ბანს აძლევს ამ უბედურ მომაკვდავ მოთქმას და მასთან ერთად მედგრად მოითხოვენ:

— მოგვეცით, მოგვეცით სიცოცხლე და თავისუფლებაო!...

---

შენ ამ დროს მარტოკა აღარა ხარ! თუ ღაწვებზე უილაჯობის ცრემლი ჩამოგდის, სამაგიეროთ გულში გენთება სხივი ნუგეშინის იმედისა და ჰგრძნობ, რომ შენ მარტოობას ბოლო ელება: მარტო შენ არა ყოფილხარ დამცირებული, დევნილი, უსამართლოთ დასჯილი! ასი და ათასი, ათასიდა ათიათასი შენი მზგავსნი, შენის გულის თქმისანი, აქვე, შენ გვერდით არიან და ერთ ხმივ მოითხოვენ: სიცოცხლეს და თავისუფლებას!...

დაე, უარესათ დაგტანჯონ... შენ ისევ შენსას იტყვი, თუნდა მოგკლან კიდეც ან კი... რაა სიკვდილი, თუ კი ამ გვარ სიკვდილით დაინგრევა ბჭენი ჯოჯოხეთისანი!...

თქვენ!... განცხრომის ძენო, ცხოვრების მეჯლისზე ფეხმორთხმით მჯდომარენო, სხვისის უბედურებით გაბედნიერებულნო, მოცინარნო და მოხარხარენო, მშრომელთა ოფლით მორთულნო და მოკაზმულნო, თქვენ-მეთქი მაძღარნო, იცით... გესმით-კი, რომ შურისძიება ტანჯულთა თავმდებია გამარჯვებისა, ხოლო იმედი და ოცნება—სამარე მარტოობისა?!...

**ია ეკალაძე**

## ტლანქი იგივე ნაზია

თავხედი, უზრდელი ვაჟების მეტი რა არის! აი ამასაც, ამ განხორციელებულ კროთომას და მორცხვობასაც უბედავდენ მაგიდის ქვეშ ნაზად შეხებოდენ ფეხით. ყელამდის, გულის ყელამდის გაწითლდებოდა; თვალები, ჟუჟუნა თვალები დაეხრებოდა; ნელა ადგებოდა: ეშინოდა მამის; ერიდებოდა დედის; რცხვენოდა, ხალხმა ყბად არ ამიღოსო; ჰფარავდა გულ-მოსულობას, რომ ამპარტავან ძმას უსიამოვნება არ მოეხდინა.

მაგრამ აი მაგიდას ოთხიოდე გარს უზის. ყმაწვილი ოდნავ, წყნარად შეეხო პატარა ფეხს. ქალმა უეცრად გასწია ფეხები; ნაცრის ფერი დაედო. ვაჟი შეკრთა და რაღაც მუდარით წამოიძახა:

— მომიტევეთ, უნებლიეთ მომივიდა!

ნათქვამ სიტყვაში იმდენივე აზრია, რამდენიც წერტილია დაწერილ სიტყვის ასოებში. მთელი ლექსიკონი მკვდარ სიტყვებისა ვერ გადმოგვცემს საიდუმლო აზრს, ყოველ სიტყვის გამოთქმაში ჩაფარულს.

ქალმა წაიკითხა ამ სამს სიტყვაში ჩაქსოვილი წინადადებათა გროვა. ქალი მიხვდა, რომ ჩვეულებრივ უნებლიეთ მოქმედებაზე არ იყო ლაპარაკი. ქალმა იგრძნო, რომ ყმაწვილის გრძნობა გონებამ წამით ჩაახშო.

ნაცრის ფერი გადავიდა. სახეს არა-ჩვეულებრივმა სხივმა გადაჰკრა. ქალმა თვით მიმართა ტლანქ, უზრდელ საშუალებას. სინაზე გულისა გადასცა ტლანქმა ფეხის დაჭერამ.

ირგვლივ, კი ისხდენ. პატივცემულს, მოხუც ქალს ვაჟი „პასიანსის" დაწყობას ასწავლიდა. ქალი მწყერივით სულ-განაბული შეჩერებოდა (ნეტავი თუ ისმენდა?) მობაასეს, რომელიც ამტკიცებდა ინგლისის პარლამენტის ძლევა-მოსილობას. მაგიდის ქვეშ-კი ორი წალა კითხულობდა მოსიყვარულე გულთა აღგზნებულ წერილებს.

**ნ. ლორთქიფანიძე**

# რწმენის სიმბოლო

სოფლით ლტოლვილი, უამხანაგო,
ვით მწირი ვინმე, ვითა ეული,
მთათ მდუმარ კალთებს შეფარებოდა
სიკვდილს, წამებას გამოქცეული.
დაშორებოდა საყვარელ მოძმეთ,
დაშორებოდა მაშვრალთ კერასა,
ვისთვისაც მარად ებრძოდა იგი
სასტიკს, ულმობელ ბედის წერასა.
თუმც ამავ კერას, ამავ მიდამოს
დავიწყებოდა უსწორო შვილი,
მაგრამ დევნილი, ხიზანი მთისა,
მწვანე ფერდობზე წამოწოლილი,
მასზე ჰფიქრობდა, ვერანად ქმნილი—
კვლავ თვალწინ ედგა, აგონდებოდა
წარსულთა დღეთა მოგონებანი,
მის ბეჯით გრძნობას არ შორდებოდა.
სადაც ოდესღაც სიცოცხლე ჰფეთქდა,
დღეს იქ სუფევდა მხოლოდ სამარე,
მკვდრული დუმილი... ნიავი იყო
მეჭირისუფლე, ქვეყნის მოზარე.
და ფრთასა შლიდა ბოღმა მის გულში,
თრთოდა, ბორგავდა, ვერ მშვიდდებოდა
შურისძიების ძლიერი ცეცხლი
იპყრობდა ჭაბუკს, გარს ედებოდა.
გარემო ტურფა, ყვავილოვანი,
ვერ ამშვიდებდა, ველარ ჰხიბლავდა,
მას კვლავ სოფელი ენატრებოდა,
ოცნების ფრთებით იქ დაფრინავდა...
გვერდით კი, მთაზე,
იდგა სატანა, ბოროტი სული
და ოცნებობდა, თუ ვით ეძლია
ჭაბუკი, რწმენით გატაცებული.
სურდა წაერთო უკანასკნელი
საუნჯე, დღემდის ხელ-უხლებელი,
ჩაეკლა მასში სულის სიმძლავრე,
ტანჯვით ურყევი, დაუძლეველი.
სცადა კიდევაც... თვის მაცდურებით
ტურფა ასულათ გადიქცა ისა;
ერთიც შეირხა და წარმტაც ხმითა
იმავ მწვერვალზე გადიკისკისა!
შეკრთა ჭაბუკი... ამოდენხანი
კაცთ არ მნახველი, მარტო მავალი,
შვების ისარმა გამსჭვალა მყისვე
და იმ მთისაკენ მიაპყრო თვალი.
ის კი თმა-შლილი, მშვიდი, ნარნარი,
დილის მზის დარად ილიმებოდა,
მშვენიერების შარავანდედი
მის ნაზ სახეზე სხივად კრთებოდა.
აჰა, ყრმისაკენ იბრუნა პირი,
გიშრისა თვალნი ალევზნო ვნებით,
ნათელს აშუქებს ბროლის გულ-მკერდი,
ვერრა ედრება ტურფას მშვენებით.
მიუახლოვდა, მთის ფერდზე მწოლარს
იმა ჭაბუკის ის წარსდგა წინა
და მოკრძალებით, ტკბილი სიტყვითა
ჰკითხა:
„—ჭაბუკო! მამცნე: ხარ ვინა,
რომ უმეგობროთ, სხვათ უხლებელათ,
ვით განდეგილი, გაჭრილხარ ველათ?
უნდო მტარვალმა აწ უნებურად,
ალბად, სოფელი დაგათმობინა,
და უგზო-უკვლოთ მარად მწოწავსა
არა გაქვს საზრდო, არა გაქვს ბინა.
ოჰ, თუ ასეა, თავს დავდებ შენთვის,
მე მოგცემ ბინას, ჩემთან გატარებ,
შენ, შენ გაგიხდი სულის მეუფეთ,
გულს გადაგიშლი და განეტარებ.
ოღონდ მიამბე...
„—დიახ, ასეა,
დიდი ხანია მე დევნილი ვარ.
ვითა ნადირი მშიერ-მწყურვალი
ამ უცნობ მთებში მარტო დავდივარ.
ხშირად საშიშარ გრგვინვა-მეხის დროს
სადმე კლდის გვერდში შევეფარები,
აქაა ჩემი მუდმივ სამყოფი,
სოფელს, სახლ-კარსა ვერ ვეკარები.
რომ დავუბრუნდე,—საფთხე მომელის,
თავს დამატყდება მკაცრი სასჯელი.
შეუბრალებლათ გამცემს, გამყიდის
ჩემივე მოძმე,—ის საძაგელი.
მიტომაც აქ, ამ მთას შევეფარე
და დღეს ესაა ჩემი დამხმარე:
სიკვდილს ვემალვი...
„—მაშ, ჩემო კარგო,
მთებში იცხოვრებ, მთებში დარჩები?
ოჰ, თუ ასეა, თუ მართალს ამბობ,
სანთლად, საკმევლად შეგეწირები.
აი, იქ, მთაზე, მე მაქვს სასახლე

და, თუ ისურვებ, დამეთანხმები,
წაგიყვან ჩემთან... შვებას გარგუნებ...
ჩემთან იცხოვრებ, ჩემთან იქნები.
რა რომ გიხილე, შენმა სიტურფემ
მყის დამატყვევა, ამინთო გული
და, ჰა, გიცხადებ პირველ სიყვარულს,
სხვა არ მყოლია შეყვარებული.
და როგორც ახლა,—უკუნისამდე,—
ზენაარს ვფიცავ, შენ მეყვარები,
მო, გულს ჩამეკარ, დატკბე სული,
ტანჯვას დაგიცხრობს ვნების სიზმრები,
გთხოვ შემიყვარო...“
რა ესმა ჭაბუკს
სიტყვა სამო, სიტყვა ტრფობისა,
შვებით ატოკდა... პირველად გახდა
ღირსი ნუგეშის, თანაგრძნობისა.
თან სიყვარული აზვირთდა გულში,
სულმა სიამით უწყო ფართხალი,
უჩინარ ძალით დატყვევებულმა
ველარ მოსწყვიტა მშვენებას თვალი.
და ოდეს მძლავრათ ვნება-აშლილმა
წინ წარსდგა ბიჭი, გაშალა ხელი,
ის შეაჩერა იმა ასულმა,
სიტურფის ღმერთამ, მაგრამ ავ-სულმა,
და ჰკითხა —„მითხარ, გიყვარვარ
მტკიცეთ?
— დიაღ, მიყვარხარ სულზე უტკბესათ,
შენ გეტრფის გრძნობა, შენ გეტრფის
გული.
„—მაშ შემისრულე, რაც დაგავალო,
მით დამიმტკიცე ეგ სიყვარული.
უარყავ სრულად წმინდა აღთქმანი,
დაჰგმე სამუდმოდ აწ იდეალი,
ამოიგლიჯე გულიდან რწმენა,
ნურარც აწმყო გრწამს, ნურც მომავალი.
გიყვარდეს მხოლოდ მშვენიერება,
მზე, ვარსკვლავ-მთვარე, მწვანე მთა-ბარი
იდეალათა მე დამისახე,
პირად სიყვარულს უძღერე ქნარი.
უარყავ აღთქმა...
„—რაო, რას ამბობ?
აღთქმა უარვყო, დავგმო მიზანი!?
მევე გავთელო ჩემი იდეა,
ჩემი სიცოცხლის, ტრფობის საგანი,
და შენ გაღმერთო!?.
ოხ, საზიზღარო!
სჩანს რომ ყოფილხარ ბოროტი სული,
ჩემი საუნჯის, ჩემი დიდების
დასაგმობელად მოვლინებული.
მაგრამ მოსტყუვდი!.. ჩემ დიად რწმენის
შერყევას, ვერა, ვერ მოესწრები,
სანამ, ბოროტო, შესძლებდე ამას,
თვით სულს განუტევ, უმალ გაჰქრები!
„—მაშ არ გიყვარვარ?..
„—ახ, შორს, სატანავ,
წყეულო სულო, გამშორდი მეთქი!
დიდი ხანია პირქვე დავამხე
რწმენის მტარვალი, ცდუნების ღმერთი.
ჯერი შენ გიწევს!..“
შესძახა გმირმა
და იმ ავსულსა მკაცრათ მიჰვარდა,
მაგრამ უეცრად ბოროტი არსი
იქცა ჰაერათ და თვალთ მიჰფარდა...
განცვიფრდა იგი ამ სანახავით,
ოცნებით გაჰყვა იმ გრძნეულ სულსა,
ხმას ვერ იღებდა... ამაოდ ეპყრა
შუბი,—საომრად გამზადებულსა.
ის აღარ სჩანდა, ჩაენთქა ზეცას,
უნიშნო იყო თვით სივრცის ბოლო,
მხოლოდ მთის ფერდზე, ვით ქანდაკება,
იდგა ჭაბუკი—რწმენის სიმბოლო!..

**ნ. ჩხიკვაძე**

## ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა

(მცირე შენიშვნა)

ჩვენში ისე იოლი და მისაწვდომი არაფერია როგორც არტისტობის დიპლომის შოვნა! ყველა სამსახურიდან დათხოვნილი, ანუ უნიჭობის გამო სასწავლებლიდან გამოგდებული ქართველი ახალგაზდა სცენისკენ მიისწრაფის, რათა „დიპლომი“ იშოვოს, და არტისტი გახდეს. არტისტობა, როგორც სხვა ხელობა, თავის ნიჭს და ცოდნას მოითხოვს. ქართველი ახალგაზდა ფეხს შედგამს თუ არა სცენაზე, მიუხედავათ ჯეროვან ნიჭისა ანუ ცოდნისა, „დიპლომს“ იღებს და არტისტი ხდება. უღირსი ახალგაზდა, არტისტობის „დიპლომის“ მქონე, არ ვნებს ხელოვნებას სანამ ის დასშია.—დასში უნიჭო არტისტსაც იყენებენ. ხელოვანი რეჟისორი როლებს ნიჭის-და მიხე-

დვით ანაწილებს და უნიჭო არტისტსაც თავის შესაფერს ალაგს აძლევს. წინააღმდეგ—სახიფათოა და დიდათ მავნებელი ხელოვნებისათვის უვიცი არტისტი „დიპლომით ხელში“, როდესაც ის (არტისტი) დამოუკიდებელ მოქმედებას ეწევა. დამოუკიდებელ მოქმედებისათვის-კი ზაფხულობით პროვინციებში უვიც „დიპლომიან“ არტისტებსაც ნიადაგი უხნდება. ახალგაზდებს აღძვრით სურვილი ამა თუ იმ პროვინციაში წარმოდგენის გამართვის. სურვილის განხორციელება ახალგაზდებს უარტისტოთ უძნელდებათ, ადმინისტრაცია არ რთავს ნებას. მიმართავენ არტისტს და ის „დიპლომის“ მქონე ხელმძღვანელობს პროვინციულ წარმოდგენას. თუ არტისტი თავის დანიშნულებას შეგნებით ეპყრობა, ის პროვინციელ სცენის მოყვარეთ ღირსეულ მასწავლებლობას უწევს, წინააღმდეგ—არტისტი, მხოლოდ „დიპლომის—„მქონე, მაგრამ უვიცი, პროვინციელ სცენის მოყვარეებთან ერთად ამახინჯებს პიესებს, წარმოდგენებს, და მით ზიზღს ნერგავს წარმოდგენებისადმი თეატრის შეუჩვეველ ხალხში. არ შეიძლება უვლდას, ვინც შედგამს ქართულ სცენაზე ფეხს, არტისტობის დიპლომი მიეცეს,— ეს ვნებს საქმეს;—დროკია ჩვენი თეატრის გულშემატკივართ ამ გარემოებას ღირსეული ყურადღება მიაქციონ.

**ილია ბახტაძე**

### ქ უ ჩ ა შ ი

სისხლით ნალაქი, მოლღილი მკერდით,
დღე და ღამ დაძრწის იგი ქუჩაზე.
ლუკმას თხოულობს, ლუკმის ზვარაკი,
მწარედ ქვითინებს ნაღვლიან ხმაზე!
დიადთა დარბაზთ.. მარმარილოს ქვათ
აშტერებს თვალთა.. მისჩერებია..
იქ განცხრომის ძეთ ისმის ხარხარი..
—მას კი.. უბედურს შია დი შია!
„შემიბრალეთო“—იძახის და თან
გამვლელს აწოდებს ნაწამებ ხელსა!
არავინ წყალობს... და ისევისე
ველარ იკავებს მწუხარე ცრემლსა!..
სტირის და სტირის.. მშიერ-მწყურვალი
და ლამის არის—შთანთქას საფლავმა!
ან კი რა უთხრას, რით ანუგეშოს
ეკლით მოსილმა, ბნელმა ქუჩამა?!

**ვ. გორგაძე**

# მშვენიერება

### სერგეი მაკოვსკის წერილიდან

(გაგრძელება იხ. „თ. და ცხ.“ № 23, 24. 25, და 26)

სარგებლობისა და ბედნიერებისადმი მისწრაფება, ეს შეგნებული მიზანია ადამიანთა. ეს უეჭველია. მაგრამ აქედან კიდევ ის არ გამოდის, რომ კაცობრიობის ცხოვრებას, რომლის დასაბამიც აგრე გამოუცნობელია, არა ჰქონდეს სხვა, კიდევ აგრეთივე გამოუცნობელი და მიუწვდომელი, მიზანი. უტილიტარისტები მართალნი არიან ჩვენთვის ხელმისაწვდომ, ჩვენთვის გასაგებ მოვლენათა წრეში—„ბრძოლა არსებობისათვისაო“. მართლები არიან, რომ მშვენიერება არის საშუალება სოციალურ ბედნიერების მოსაპოებლად და მისაღწევად. მაგრამ, ვინა სთქვა, რომ კაცის დანიშნულება სოციალური ბედნიერება და სიკეთე იყოს? ჩვენ იმიტომ ვიბრძვით ჩვენი ბედნიერებისათვის, რომ ადამიანები ვართ. მაგრამ ვინ გაბედავს თქვას, რომ ჩვენ მხოლოდ ადამიანები ვართ? ჭეშმარიტ მორალისტთა და უტილიტარისტთა აზროვნებაში მეტი მგზავსებაა საზოგადოდ, ვიდრე ჰგონიათ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთნი სიმართლეს, ადამიანის პიროვნების გარეშე მოპოებულს, ადამიანის ზნეობრივ სინდისის საზომითა ზომავენ და მეორენიკი—ადამიანთა ყალბ დანიშნულების იდეალით. რაც ტურგენევმა სიფრთხილით წარმოსთქვა, როდესაც ჰამლეტისა და დონ-კიხოტის შესახებ მოციქულის სიტყვები მოიყვანა, ისიც, რასაც ჰენიოსურ დაჟინებით ადგია აგრე შეურყევლად ლევ ტოლსტოი, რასაც ელლინთა პლატონი ქადაგებდა, რომელმაც თვისის იდეალურის რესპუბლიკიდან სრულიად განდევნა ხელოვნება, რომაელი სტოიკები, კათოლიკე ასკეტები, პრუდონი, მარქსი, სპენსერი, პისარევი—ყველა ამათ შორის მეტად მცირე განსხვავებაა. ყველა ისინი ამა თუ იმ იდეალის სახელით ხელოვნებას თავიდან გვირგვინსა ხდიან და ამიტომაც ერთი მეორის მოკავშირენი არიან; მათი შემეცნებით, მშვენიერება ან ზნეობრივსა და ან სოციალურ მიზანთ უნდა ემსახურებოდეს. როდესაც მშვენიერების შესახებ ტოლსტოისა და პისარევის აზრებს ადარებ ერთი მეორეს, ასე

გგონია ერთი მეორისაგან უსესხნიათ ძაგების კილო და გამოთქმაო. ორ მოპირდაპირე წერტილიდან წამოსული გზები ერთი მეორესა ხვდებიან. ქრისტიანობის ეთიკა და „ეთიკა მესამოცე წლებისა“ ერთი მეორესა ხვდებიან.

ტოლსტოი თვითეულ სიტყვას სულ სახარების ტექსტით ასაბუთებს და პისარევი კიდევ სულ ურწმუნო და „ულმერთო“ მეცნიერებას, დარვინსა და მოლეშოტს ემყარება, მაგრამ მაინც უცნაური ერთსულოვნება არსებობს მათ შორის! ორივენი ხელოვნების შესახებ ერთსა და იმავეს ამტკიცებენ, რადგან ორივენი ხელოვნებას ერთი დ იმავე საზომითა ზომავენ: სარგებლობითა. ერთს პიროვნების ბედნიერება მიაჩნია სიწმინდედ და მეორეს—საზოგადოების კეთილდღეობა. ამათი სასარგებლო კი უნდა იყოს ხელოვნება. მაგრამ ორივეს ერთნაირის სიმტკიცით პასუხს აძლევს ისტორია. რელიგიამ, რომელიც ასულდგმულებს ტოლსტოის, უწინარეს ყოვლისა, ხელოვნება ასახელა, თავის თავი უკვდავი-ჰყო ხელოვნებით, იქმნა უხრწნელი და გაიუკვდავა თავი საუკუნოებში მშვენიერებით სულდგმულ თვისის სიმბოლებითა. ევოლიუცია საზოგადოებათა კი, რომელსაც პისარევი ემყარება, ზვაჩვენებს, რომ ადამიანები სრულიად შეუგნებლათ, უნებურად მხოლოდ მშვენიერებისათვის ცხოვრობენ, მხოლოდ მითი იუკვდავებენ თავიანთ არსებობასა და ამაში ემორჩილებიან უფრო დიდსა და მაღალ ძალას ბედისწერისას, ვიდრე შეგნებისა და ნებისას...

ამგვარად ჩვენს წინაშე დილლემაა...

მშვენიერება ზნეობრიობის გარეშე დგას, უსარგებლოა: მაშასადამე ეგ არ არის მიზანი ცხოვრებისა. მაგრამ ზნეობრივ და სოციალურ სიკეთისადმი მისწრაფება კი მშვენიერებად იქცევა. მაშასადამე მშვენიერება მიზანი ყოფილა.

თითქო შეუთანხმებლობა გამოდის, მაგრამ ამის გასაგებად საჭიროა შევიგნოთ ერთი კა არა, ორი მიზან ი, ორი სიმართლე, ერთი მეორის შეუფარდებელი, თავისუფალი. ერთი მიზანი, რომელიც სხვადასხვანაირად ესმისთ და გაეგებათ. არის მიზანი დამოუკიდებელი, აქტიური, დროებითი; კანტის ენით რომ გამოვთქვა, ეს იქმნება მიზანი ფენომენალური: ზნეობრივობა, სარგებლობა, ბედნიერება, სიწმინდე, მეორე მიზანი კი შეუგნებელია, მიუწდომელი, დროს გარეშემყოფი,-ნუმენალური: მშვენიერება, შემოქმედება, ხელოვნება. ერთის მხრით ჩვენ ვარსებობთ და ვმოქმედობთ, როგორადაც ადამიანები, როგორადაც დამამტკიცებლები მორალურის, რელიგიურის და საზოგადოებრივის კანონებისა, ისეთ კანონებისა, რომლებიც დრო და ჟამში იცვლება ხოლმე. მეორეს მხრით კი ჩვენ საუკუნოობის, მარადისობის აჩრდილს წარმოვადგენთ და თავის თავს, როგორადაც ესტეტიურნი არსნი, ბუნდოვნადა ვგრძნობთ, მხოლოდ ამ არსებობას ვამტკიცებთ მშვენიერს ნაქვთებში. მორალისტთა და უტილიტარისტთა შეცდომა იმაშია, რომ იმათ არ უნდათ მეორე, მიუწდომელი მიზანი, აღიარონ და იწამონ პირველ ხელ-მოსაკიდ მიზნის გამო. ესტეტთა შეცდომა კი პირველის, სხვადასხვა გვარად გაგებულ მიზანის უარის ყოფაა ამ მეორის, მიუწდომელ მიზნის სახელით და ეს სწორედ იმასა ჰგავს: ერთხელ ერთმა დამცინველმა ბერკლეის უთხრა: „თუ კი სივრცე წარმოსადგენია, მაშასადამე მე შემიძლია უფსკრულში გადავარდეო?“

**შალვა დადიანი**

## ნ ა ც ვ რ ა

(ვუძღვნი ნინოს)

მთისა მწვერვალზე ვზივარ მარტოკა,
შავი ფიქრებით გარემოცული.
„ახ, ნეტავ ვიყო ფრინველი მეთქი“!
მრავალჯერ ვნატრობ დაღონებული.
„ახ, ნეტავ ვიყო, ტურფავ, მერცხალი,
მაშინვე შენსკენ გამოვფრინდები,
შენს ფანჯარაში ავაგებ ბუდეს,
და იქ მახლობლად დავბინავდები.
ან ნეტა ვიყო ნაზი ბულბული,
შენსკენ გამოვფრენ გამალებული
და შენ სახლის წინ, მწვანე ბუჩქებში,
ტკბილ ჰნგებს გიმღერ აღტაცებული.
ან ნეტა ვიყო... მაგრამ რა ვიყო?
კვლავ უძლური ვარ—ადამიანი;
ფრთები არა მაქვს, შენ-კი შორსა ხარ,
გზას მიღობავენ მთანი კლდიანი.!!

**ი. მჭედლიშვილი**

თელავის ციცი 1910 წ.

# საბედისწერო დამბაჩა

დრამა სამ მოქმედებად

## მოქმედება მეორე

იგივე სცენა. მაგიდაზე სამოვარი სდგას. ფარდის ახდისას, ხვარამზე სდგას მაგიდასთან კოხტა წინსაფარ-აფარებული, ვერცხლის კოვზ-ჩურჩელს სწმენდს და სინზე ალაგებს

I

**ხვარამზე** მერე **ფილიპე**

**ხვარ.** ფილიპე!

(შემოდის მარცხენა მხრიდან **ფილიპე**)

**ხვარ.** შეგიძლიან აალაგო!

**ფილ.** (გააქვს სამოვარი და ისევ შემოდის)

**ხვარ.** როდამი რას აკეთებს?

**ფილ.** ძროხებსა წველის.

**ხვარ.** თუ უნდა, მივეშველები.

**ფილ.** ახლავე გავიგებ. (გააქვს სინი)

II

იგივე და **როდამი**

**ხვარ.** მორჩი?

**როდ.** ჰო.

**ხვარ.** მართა ხომ გეშველებოდა?

**როდ.** მართა წისქვილშია.

**ხვარ.** მერე, რატომ არ დამიძახე?

**როდ.** შენ ახლა სადიასახლისოდ არა გცალიან. უმჯობესია ძმას მიუალერსო.

**ხვარ.** საით წავიდა, თუ იცი?

**როდ.** აგერ ზის, წყაროსთან, ფიქრებს მისცემია. მაგის თავს რაღაც უნდა იყოს და ყურისგდება უნდა. შენი უფროსი ძმა და ბიძაც მარტოობამ დაღუპა. დიდი სიფრთხილე გვმართებს ყველას, არ დაივიწყო, (სახლისკენ მიუთითებს) ის წყეული იქ არის. შიშით მისკდება გული. ბატონი შინ არის?

**ხვარ.** არა, სტუმარი გააცილა: „ხიდამდე ჩავყვებიო". რაო, ვინმე ხომ არ ეძახის?

**როდ.** არა, ისე ვიკითხე, აბა, წადი მასთან, წადი და გაართე. მე მივუალერსე, მაგრამ არც კი შემომხედა (გადის).

III

იგინივე და **რეზიკო**, გამოდის სცენის სიღრმიდან თავ-ჩაქინდრული. ცალი ხელი შარვლის ჯიბეში აქვს.

**ხვარ.** (მიეგებება) რეზიკო, ძმაო!

**რეზ.** (ოდნავ შეკრთება) ახ, შენა?

**ხვარ.** მე ვარ, შენი ჭირიმე. სად ყოფილხარ?

**რეზ.** წყაროსთან ვიჯექი.

**ხვარ.** რას აკეთებდი იქ მარტო?

**რეზ.** არაფერს... ისე... გაღმისკენ ვიცქირებოდი და უეცრივ ფიქრთ წარმიტაცეს.

**ხვარ.** ოჰ, ჩვენი სოფლის თვალ-წარმტაცი ბუნება ოცნებას ფრთებს ასხამს, პოეზიის სამფლობელოში გადაგასახლებს და მერე კი—მშვიდობით, პროზავ.

**რეზ.** ოღონდაც, ჩემო კარგო. მაგრამ ვაი, რომ ამხანად ნეტარ შთაბეჭდილებას მიშხამავს ეს სამარისებური სიჩუმე, რომელსაც დრო-გამოშვებით ძაღლის ყეფა და მამლის ყივილი თუ დაარღვევს ხოლმე. ხვარამზე! რომ იცოდე, როგორ მაღონებს და მაშინებს ყოველივე ეს, საცა უსულო საგნებიც კი მოგჩერებიან და ათას ჰანგებზე გეხმაურებიან.

**ხვარ.** მე კი მეგონა, ქალაქის ღრიანცელს ამას ამჯობინებდი, დროებით მაინც; მით უმეტეს, რომ წინად აღტაცებაში მოჰყავდი იდილიას.

**რეზ.** რას იზამ... ცხოვრება ჭრელია და ადამიანის გუნებაც—ცვალებადი. მამა არ დაბრუნებულა? (თავი სტკივდება)

**ხვარ.** არა.

**რეზ.** (ჩამოჯდება) სჩანს, დიდი მეგობრები არიან.

**ხვარ.** ვგონებ.

**რეზ.** ეს გენერალი ოდესმე ხომ არა ყოფილა ჩვენსა?

**ხვარ.** მე დღეს გავეცანი პირველად. ისე კი, ვინ იცის, იქნებ იყო.

**რეზ.** შენ რაღაც მუშტრის თვალით გზომავდა, შეამჩნიე?

**ხვარ.** არა.

იგინივე და **როდამი**

**როდ.** აჰა! მოაშინაურე? (მივა რეზიკოსთან და მხარზე დაადებს ხელს) შე, საძაგელო, შენა, როგორ დაგვიხეთქე ყველას გულები.

**რეზ.** აბა, როდის?

**როდ.** რეზიკო მეთქი! გირჩევ მოიშორო ის კრული დამბაჩა, თორემ ინანებ. ვისიც იყო, იმას რა ხეირი დაეყარა, შვილო? მთელ სოფელს მოსდებია ეს ამბავი და, იცოდე, სანამ ის აქ ეგულებათ, მამიშენის ოჯახში მეზობლიანთ კატაც-კი არ დაიკნავლებს.

**რეზ.** სოფელს რა აშინებს? ხარატიანთ დამბაჩა ჩვენი საბედისწეროა და, თუ რასმე მოახდენს, ჩვენვე დაგვატყდება თავს.

**როდ.** მაგით ვერავის დაამშვიდებ.

**რეზ.** რადგან ასეა, პირობას გაძლევ, ხვალვე ავიკრა ბარგი.

**როდ.** განა მე ესა გთხოვე?

**რეზ.** მაშ რა გიყოთ, უმეცარნო, როცა ყველას გეშინიანთ, გეშინიანთ...

**როდ.** კარგი, ნუ ცხარობ. რაკი გწყინს, მეც გავჩუმდები.

**რეზ.** კარგს იზავ... უჭკუო ლაპარაკს, გაჩუმება ათას წილად სჯობიან.

**როდ.** შენ, ეი! ეგ წარბები გაშალე, თორამ მე ვიცი შენი! აბა, ახლა მიბრძანე, რა მოგრათვა ვახშმად?

**რეზ.** არაფერი, მხოლოდ ერთი ჭიქა რძე.

**როდ.** როგორ თუ—არაფერი?

**რეზ.** ისე. ვახშამს არ გიახლები.

**როდ.** რატომ?

**რეზ.** ჩვეულება მაქვს ასეთი.

**როდ.** რაო?

**რეზ.** (გულ-მოსული წამოხტება და დაიყვირებს) ოჰ, დედაბერო! ნუ ამომხადე სული! ხვარამზე! გადაუთარგმნე, რაცა ვსთქვი... იქნებ მომასვენოს, თუ არა და—გაეთრიოს...

**ხვარ.** აჰ! (სახეზე ხელებს მიიფარებს)

როდ. (იმავე დროს) უი, დამიდგეს თვალები; დამიდგეს თვალები, დამიდგეს თვალები. (მიდის მესერისკენ)

**რეზ.** ღმერთო ჩემო! ეს რა ჩავიდინე?. ჩემო სათნო, როდამ! შევრიგდეთ, შენი ჭირიმე. აუტანელი კაცი შევიქენი, ამ ბოლო დროს, და მაპატიე მე უბედურს.

**როდ.** (შედგება) არ გიჯავრდები. და, თუ მაინც არ დაგიშლია, მიპატიებია; მხოლოდ გთხოვ, ხანდახან მეც გამიგონო და ჩემი წეღანდელი ნათქვამიც დაიხსომო, არ წააგებ. (გადის)

**რეზ.** გულ-კეთილო და საყვარელო ადამიანო! რომ იცოდე, როგორ გაფასებ... (პატარა პაუზა. პაპიროზს გააბოლებს) შენცმაპატიე, ჩემო გოგონა!..

**ხვარ.** არც მე გიჯავრდები. მხოლოდ მწყინს, შეუძლიოთა მყევხარ...

V

იგივე და **ფილიპე**

**ფილ.** (რეზიკოს) ო-დ იულონს შემოუთვლია „შეიძლება თუ არა, დღესვე გინახულოთო“?

**რეზ.** მადლობას მოვახსენებ. შეუთვალეთ, რომ არ შემიძლიან—მივიდო.

**ხვარ.** რატომ?

**რეზ.** მიტომ, რომ არავისი ნახვა არა მსურს. სხვა არაფერი, ჩემო ფილიპე.

**ფილ.** (გადის)

**რეზ.** ხვარამზე! გააკარ დღესვე განცხადება ალაყაფის კარებზე, რომ მე, ამ ზაფხულ, შინაურ საქმეების გამო, ვერავის მივიღებ.

**ხვარ.** არც ავადმყოფთ?

**რეზ.** არ ვიცი,.. ვნახოთ. მე კი ვეცდები, და, თუ ვერ შევიძლებ, ნუ გამკიცხავენ.

**ხვარ.** კარგი, კარგი...

VI

იგინივე და **ონისე** (რეზიკოს ხნის ქერა ვაჟკაცია. აცვია შავი ჩოხა, თეთრი ახალუხი, წუღა და გადმობრუნებული ტყავის საცვეთი. მსხლით სავსე ყაბალახი მხარზე აქვს გადაკიდული)

**რეზ.** ამას ვის ვხედავ? ონისე!

**ონისე** რეზიკო! შენი ჭირიმე! (გადაეხვევა და ჩაჰკოცნის)

**რეზ.** სადა ხარ ამდენ ხანს, თევზების ჯალათო?

**ონის.** ბროლიეთში ვიყავი და აქამდე ვერას გზით ვერ გავართვი საქმეს თავი. სოფელში მახარეს შენი მოსვლა. და თუ რა გუნებაზე დავდგებოდი, ამის გამოცნობა შენთვის მომინდვია.

**რეზ.** სხვა? რასა იქ? როგორა ხარ?

**ონის.** მოიცა, კაცო, ჩემი ამბავი მერე. ჯერ შენი. როგორა ცხოვრობ? რად მოგვიძულე, ან ახლა რამდენი ხნით გვეწვიე?

**რეზ.** ბიჭო, ქალარა შემოგპარვია! რა დროსია?

**ონის**. დროების ბრალია, ძმაო, დროების! განა, იმ ქარ-ბუქის შემდეგ, რამე უნდა გიკვირდეს? მაგრამ არა უშავს-რა. მაგიერად გული მაქვს კაჟივით. (ჩაიკისკისებს) სოფლად უკვე გაუგიათ შენი მოსვლა და ყველანი დიდად გახარებულნი არიან. ვინ იცის, შენი მადლიანი ხელი რამდენ სნეულს წამოაყენებს ლოგინიდან.—ეჰე! ქალარა შენც გამოგრევია!.. ცოტა კიდეც გამხდარხარ, მაგრამ არა უშავს რა; ჩვენებური ჰავა და მოვლა მალე დაგაყენებს ჯანზე.

VII

იგინივე და **როდამი**

**ონის**. აჰა, დედა! ესეც შენი რეზიკო! არც ახლა მოისვენებ? (რეზიკოს) კაცო, აგვიკლო წუწუნით. სულ შენი სახელი ეკერა პირზე. ან შენ, ხვარამზე! როგორ გუნებაზე ხარ? გამხიარულდი, ქალო! თითქოს სახე ჩამოგტირის. რა მიზეზია? გამხიარულდით მეთქი! რეზიკო გვეწვია, ურაა! გოგიტაანთ როდამ! ჩამომართვი ეს მსხალი და ერთი ჩვენს ციცინათელას მიართვი, მეორე—ხალხის ნუგეშს, მაშვრალთ მალამოს, მესამე—ელეფთერს, მეოთხე—შენ. მე-კი სათევზაოდ წავალ. ჩინებული ამინდია. ვიცი, რეზიკოს შიშხინა კალმახები უყვარს.

**რეზ**. ჩემთვის ნუ სწუხდები. ისე კი—შენი ნებაა.

**ონის**. დიაღაც, რომ ჩემი ნებაა. მართლა, დედა! კატომ—ცოტა ხნით გადმოდიო. და, თუ დრო გაქვს, კარგს იზამ, თუ ინახულებ. (გადის, როდამიც გაჰყვება)

VIII

იგინივე და **თ-დი ელეფთერი** (გამოჩნდება)

**ხვარ**. აი, მამილოც!

**რეზ**. მამა!

**ელეფ**. (ორივეს გადაჰკოცნის, მოჰხვევს ხელს, შუაში ჩადგება და ღიმილით შეჰყურებს) ჩემი ბავშვები, ჩემი ბავშვები! (რეზიკოს) მხოლოდ შენ კი ცოტას გემდური, ჩემო ვაჟკაცო! გადაჭარბებული მუშაობით თავი მოგიკლავს. მეტისმეტი არა ვარგა რა. შენს თავზედაც უნდა გეზრუნა. ჭკუით იყავი, თორემ უდროოდ მოტყდები და შენი ნაღვაწიც უკვალოდ გაქრება. სხვათა შორის, დღევანდელი საქციელითაც მატკინე გული.

**ხვარ**. არა ღირს, მამა, მაგაზე ლაპარაკი. თავის დროზე ყველაფერი მოშუშდება.

**ელეფ**. კარგი, კარგი. მართლა... სტუმრმა კვლავ დიდი სალამი გიძღვნათ ორივეს, თუმცა ძლიერ კი იწყინა, რომ რეზიკომ სადილად გამოსვლა არ ინება.

**რეზ**. მეც ვწუხვარ, მაგრამ რომ ვერ შევძელი! ხვარამზე, ხო მომხადე ბოდიში?

**ხვარ**. რასაკვირველია.

**ელეფ**. რაც იყო, იყო. გაფრინდა, გაჰქრა. ახლა, რადგან ორივეს ერთად გხედავთ, დავსხდეთ და ოჯახის საქმეზე მოვილაპარაკოთ.

**რეზ**. ინებეთ! (სხდებიან მაგიდის გარშემო)

**ელეფ**. შვილებო! ვგონებ დროა თავი დავახწიოთ იმ უბედურობას, რომელმაც საკმაოთ შეგვირყია ბედნიერი და მყუდრო ცხოვრება. ასეთი ყოფა ყველას დაგვჩაგრავს და ნამეტნავად თქვენ, ჩემო სათუთათ აღზრდილო შვილებო! შენ, რეზიკო, ვითარცა განათლებული და, ასე თუ ისე, უკვე გაფოლადებული ვაჟკაცი, იმედია, უჩემოდაც გაიკაფავ ცხოვრების გზას, მაგრამ ამას-კი (ხვარამზეზე) უსათუოდ მე უნდა ვუპატრონო; ამაში, იმედია, შენც დამეხმარები.

**რეზ**. ბრძანეთ, თუ რასმე ჰფიქრობთ!

**ელეფ**. საქართველოში კარგად ცნობილ თავად მანუჩარს ჰყავს პირმშო ვაჟი—დათა, რომელსაც თურმე უზომოთ მოსწონს ჩემი ხვარამზე და დღეს მამის პირით ხელსა სთხოვს. ჩვენ დიდი სიხარულით უნდა შევეგებოთ ამ იშვიათ ბედნიერებას, ვინაიდან ყველაფრის უხვად მქონე მანუჩარი სამაგალითოდ შემინახავს ქალიშვილს, და მერე მეც მოსვენებით დავხუჭავ თვალებს. დღეიდანვე შევუდგეთ მზადებას, რადგან ამ კვირას ნიშნობა უნდა გავაჩაღოთ.

**ხვარ**. (ოდნავ შეკრთება)

**რეზ**. (უეცრივ მამას შეხედავს) როგორ!.. თქვენ უკვე მორიგდით?

**ელეფ**. თითქმის.

**რეზ**. ვაი, სირცხვილო!

**ელეფ**. ხოლო თქვენი აზრის მოსმენა მაინც მაინტერესებს.

**რეზ**. (წამოდგება) ოჰ, მამა! ღვთის გულისათვის, ნუ დაგვცინი!... ჩვენი აზრი აქ რა

შუაშია, როცა თქვენს თვალში ის გროშადაც არ ღირებულა.

**ელეფ.** იმთავითვე ვიცოდი, რომ მე და შენ ბევრს რასმეში ვერ მოვრიგდებოდით, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ მე მამა ვარ.

**რეზ.** კეთილი და პატიოსანი, მაგრამ გადამწყვეტი ხმა, პირველი ნაბიჯი, პირველი სიტყვა ეკუთვნის თვით ამას და არა თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ მამა ბრძანდებით,

**ელეფ.** სრულებითაც არა! ეს ჯერ ჩამოქნილი სანთელივით რბილია და საითაც გნებავს, იქით გადახრი.. ასე, რომ მაგისას ვერც ნაბიჯს ვენდობი და ვერც სიტყვას. როგორც ვხედავ, შენ მიტომ მოსულხარ, რომ ხელი შემიშალო...

**რეზ.** პირიქით, მინდა სწორე გზაზე დაგაყენოთ და მით ვიხსნა თქვენი სახელი გათახსირებისაგან.

**ელეფ.** რეზიკო!

**რეზ.** ბატონო! თქვენ, ვგონებ, მოგეხსენებათ, რომ ხვარამზე ეტრფის სულ სხვა კაცს, და მისი გულიც იმას ეკუთვნის.

**ხვარ.** (თავს დაბლა დახრის და სახეს ხელებით იფარავს)

**ელეფ.** მაგ საგანზე ჩემი შეურყეველი აზრი უკვე გამოვსთქვი. მაშასადამე, აქ სადავოც არაფერია.

**რეზ.** საბუთი, ბატონო, თქვენი უარის საბუთი?

**ელეფ.** გეუბნები, როგორც პატიოსანი კაცი, რომ ყარაძიაშვილთა წინაალმდეგ არა მეთქმის რა, მაგრამ გული მაინც არ მიწევს და ჩემთვის ესეც კმარა. უმალ მე მომკალით და მერე, რაც გენებოთ, ის ჩაიდინეთ. რეზიკო! შენ ბევრი რამ დაგითმე ხალხისთვის, ზოგი შენი ხათრით, ზოგი ჩემი თანხმობით.. იკმარე, თუ ვერ დამეხმარები, ხელს ნუ შემიშლი მაინცა. (ხვარამზეს) შვილო! ენდე ჩემს გამოცდილებას. გიმეორებ, ვერ შესძლებ მიქელა ყარაძიაშვილის ოჯახის წევრობას. ჩვენ და ისინი უცხონი ვართ ერთმანეთისათვის. იქ ყველა შრომობს და როგორ შესძლებ შენ ისეთი მძიმე უღლის გაწევას? ჩემო მალხაზო! მამაშენი გიმზადებს შესაფერ კერას და, რომ ეს ასეა, მაგაში ეჭვს ვერ შეიტან. მიპასუხე, რომ თანახმა ხარ, რომ კვლავ მენდობი, გჯერა ჩემი და გამიგონებ: სთქვი, შვილო, სთქვი!

**ხვარ.** ოჰ, ღმერთო ჩემო! რა დღე გამითენდა! (სწრაფად გაემართება აივნისკენ)

**რეზ.** (სასტიკად) ხვარამზე! საით (ხვარამზე კიბეზე შეკრთება უეცრივ და შედგება) ყოყმანის დრო წავიდა. უბედურო! გარბიხარ მაშინ, როცა შენი ბედი უნდა გადაწყდეს? არა, ეგ წარმოუდგენელია. შენ მართლაც უნდა უპასუხო მამას, ვით შეჰფერის დარბაისელ ქალს. დღეს უნდა დაამტკიცო, რომ გაქვს გული, რწმენა, მიზანი, რომ ხარ პიროვნება და გულწრფელად ეტრფი ხალხსა და მის საუკეთესო წარმომადგენელს—ყარაძიაშვილს, თუ არა, მე შენ შეგიძულებ, გამოგიტირებ, ვითარცა სულით გლახაკს, და სამუდამოდაც მიგატოვებ. აი, ჩემი უკანასკნელი სიტყვა. ახლა როგორც გენებოს,

**ხვარ.** (წელში გაიმართება, აღელვებას იკავებს, შემდეგ მამას დინჯად და მკაფიოთ) სათაყვანო მამა! თუ ჩემი კანონიერი და თავისუფალი მისწრაფება თქვენ ასე ძლიერ გაღონებთ, მზადა ვარ უარ ვყო იგი და პირადი ბედნიერება ვანაცვალო თქვენდამი განუსაზღვრელ სიყვარულს და არა წოდებრივ „ცრუ შეხედულობას“. დაე, აქვე ჩასჭკნეს და ჩაჰქრეს ჩემი გაუფურჩქნავი ყმაწვილ-ქალობა და სულიც აქვე ამომხდეს.. ხოლო, მამილო, გადაჭრით გიცხადებ, ამ გულს განუსჯელად ვერვის ვაკუთნებ.

**ელეფ.** შენც ჩამწიხლე? შენც ჩამწიხლე? ვაი, ტიალო სიცოცხლევ! შვილები დავჰკარგე, გესმით, შვილები!... ხა, ხა, ხა... (ამ დროს რეზიკო უეცრივ დაეცემა სავარძელზე, თავს უკან გადახრის, თვალები და სახე დაებრიცება, ხელ-ფეხს გასწიმავს და მუმიასავით გაშეშებული გდია რამდენიმე წამს)

**ხვარ.** (შეჰკივლებს და ორივენი ერთად მივარდებიან)

**ელეფ.** მიშველეთ!

**ხვარ.** უბედურო მამა! შენი რეზიკო კვდება, კვდება! (დაემხობა და მწარედ ქვითინებს)

**ელეფ.** (შფოთვით) რეზიკო? შვილო.! არ დამიქციო ოჯახი, უშენოდ ხომ დამექცა ოჯახი. თუ შენ არ მეყოლები, რა ოხრად მინდა ეს ავლადიდება, ან ეს გამწარებული სული?!... ჩემო სიამაყევ! ქვეყანა შენით მიცნობს, შენით მაფასებს! თუ არა-და, გადასწვით ყველაფერი! გადასწვით! გადასწვით!

**ხვარ.** (მასთან ერთად) გადასწვით, გადასწვით! (მცირე პაუზა)

**რეზ.** (წამოდგება შეშინებული) რა მოხდა? ვისა სტირიან? ვისა სტირიან? (ელეფთერ და ხვარამზე მივარდებიან და დაიჭერენ)

**ელეფ.** არავის, შვილო! ალბად, მოგეჩვენა.

**რეზ.** მომეჩვენა? ნუ თუ მართლა?!

**ელეფ.** ჭეშმარიტად.

**რეზ.** (ჯდება სავარძელში) ხვარამზე! წადი და მუსიკა გამაგონე!

**ელეფ.** (ხვარამზეს) აბა, ჩქარა!

**ხვარ.** კი, შენი ჭირიმე, ოღონდ გიამოს და სიცოცხლესაც შემოგწირავ. (შედის სახლში და წუთის შემდეგ მოისმის წყნარი მელოდია როიალზე. „Le lac de come"-დან, რომელიც ფარდის ჩამოშვებამდე გრძელდება. ელეფთერი გარინდებულ-გამტკნარებული ზის)

**რეზ.** (პაპიროზს გააბოლებს. პაუზა. შემდეგ მამას გადახედავს) მამა, ცუდათ გავხდი. ძალიან დარდობთ?! (მცირე პაუზა) ეხ, მამავ, დროა მოუსმინო ექიმ-შვილის გულწრფელ აღსარებას. (პაუზა) მამა! მე შემიპყრო უკურნებელმა სენმა, რომელმაც ხელი ამაღებინა და ჩამომაშორა ყოველისფერს, რითაც ვცოცხლობდი. ჩემი სხეულის თან-და-თანი მოშლა ეჭვს გარეშეა ასე რომ, კვლავ ჩემი იმედი ნულარ გექნებათ. თუ ერთმა შვილმა მოჰკლა დედა, მეორემ შეიძლება მამა მოჰკლას, ან სხვა ვინმე, და ვინ იცის რეეზს არ ჩაიდენს. ყოველივე ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მიმართულებას მიიღებს თვით სენი. (ელეფთერს წასკდება ცრემლთ ნაკადული) ნუ სტირით, მამა! ნუგეშად გრჩებათ სიცოცხლით სავსე, მზეთუნახავი ქალი, ვისზე ფიქრმაც ლამის გამაცოფოს და ჭკუიდან შემშალოს. გულკეთილო და მოსიყვარულევ! ნუ გახდებით მიზეზი პირმშო ქალის დაღუპვისა, ნუ გადაუგდებთ მას ისეთ უზნეო კაცს, როგორიცაა თავად მანუჩარის სანეფო ვაჟი—დათა, და ნუ სწუნობთ საღსა და განათლებულ ხალხის შვილს. მამა, თუ გსურთ ააცდინოთ ოჯახს გადაშენება; და თუ გინდათ მადლობით მოგიგონოს შთამომავლობამ, მოახდინეთ ეს სანატრელი საქმე: შემოუშვით ჩვენი ოჯახის დამპალ წიაღში მზის სხივი და მჩქეფარე ნაკადული სიცოცხლისა. დაე, რაც ჩვენს ქვეყანაში ლამაზი და ჯანსაღია, ერთი მეორეს შეესისხლხორცოს და მით შეჰქმნან ერის ძლიერება და სახელი.

**ელეფ.** (წამოდგება. მცირე პაუზის შემდეგ, ცრემლთ მოწმენდით) შვილო! თუკი შენ ეს გიამება და ცოცხალი მეყოლები, იყოს ნება ღვთისა. მე თანახმა ვარ.

**რეზ.** ოჰ, მამა! რა მოხარული ვარ, რომ შესძელით თქვენს წინააღმდეგ ნაბიჯის გადადგმა. ეს მსხვერპლია და მეც ამას მოვითხოვდი თქვენგან! (მიიხედავს სახლისკენ) ნუ გეშინიან, ჩემო უმანკო! დაჰკა მხიარულად. დღეიდან შენი მომავალი უზრუნველყოფილია. (მიუბრუნდება ელეფერს და ჩაეკონება) მამავ!..

ფ ა რ დ ა

**ტრიფონ რამიშვილი**

(დასასრული იქნება)

# მიმიკა

(ფრანგულიდან)

## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა*)

> მიმიკი არის ენა, რომელსაც ხმარობდენ პირველნი ადამიანნი თავიანთ გრძნობებისა და სურვილის გამოსახატავად.
>
> **(ბერნიე)**

სსცენო ხელოვნება დამყარებულია ორს უმთავრეს საგანზე—დიქციასა და მიმიკაზე. თუ მსახიობს კარგი დიქცია აქვს და მიმიკა არ უვარგა, ის თავის დღეში ვერ მოახდენს დიდ შთაბეჭდილებას საზოგადოებაზე. მართლაც, ოდესმე გკითხამთ თქვენი თავისათვის, თუ რისთვის დადიან თეატრში? რას ეძებენ იქ? რაღა თქმა უნდა, თეატრში დადიან იმიტომ, რომ ნახონ და გაიგონ განსხვავება, რომელიც არსებობს წაკითხულსა და ნათამაშევ პიესის შორის, ის განსხვავება, რომელიც არსებობს ლიტერატურულ დი ცოცხალ ნაწარმოების

*) ამით ვიწყებთ ბ. გ. ჯაბადრის ფრიად საყურადღებო წერილების ბეჭდვას და ამასთანავე არ შეგვიძლია გულწრფელი მადლობა არ გამოვუცხადოთ პატივცემულს ავტორს ასეთი წერილებისა„ და სურათების მოწოდებისათვის. შემდეგ ნომრიდან დავიწყებთ სურათების ბეჭდვასაც.

**რედ.**

შუაშია, როცა თქვენს თვალში ის გროშადაც არ ღირებულა.

**ელიფ**. იმთავითვე ვიცოდი, რომ მე და შენ ბევრს რასმეში ვერ მოვრიგდებოდით, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ მე მამა ვარ.

**რეზ**. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ გადამწყვეტი ხმა, პირველი ნაბიჯი, პირველი სიტყვა ეკუთვნის თვით ამას და არა თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ მამა ბრძანდებით,

**ელიფ**. სრულებითაც არა! ეს ჯერ ჩამოქნილი სანთელივით რბილია და საითაც გნებავს, იქით გადახრი.. ასე. რომ მაგისას ვერც ნაბიჯს ვენდობი და ვერც სიტყვას. როგორც ვხედავ, შენ მიტომ მოსულხარ, რომ ხელი შემიშალო...

**რეზ**. პირიქით, მინდა სწორე გზაზე დავაყენოთ და მით ვიხსნა თქვენი სახელი გათახსირებისაგან.

**ელიფ**. რეზიკო!

**რეზ**. ბატონო! თქვენ, ვგონებ, მოგეხსენებათ, რომ ხვარამზე ეტრფის სულ სხვა კაცს, და მისი გულიც იმას ეკუთვნის.

**ხვარ**. (თავს დაბლა დახრის და სახეს ხელებით იფარავს)

**ელიფ**. მაგ საგანზე ჩემი შეურყეველი აზრი უკვე გამოვსთქვი. მაშასადამე, აქ სადავოც არაფერია.

**რეზ**. საბუთი, ბატონო, თქვენი უარის საბუთი?

**ელიფ**. გეუბნები, როგორც პატიოსანი კაცი, რომ ყარაძიაშვილთა წინააღმდეგ არა მეთქმის რა, მაგრამ გული მაინც არ მიწევს და ჩემთვის ესეც კმარა. უმალ მე მომკალით და მერე, რაც გნებოთ, ის ჩაიდინეთ. რეზიკო! შენ ბევრი რამ დაგითმე ხალხისთვის, ზოგი შენი ხათრით, ზოგი ჩემი თანხმობით.. იკმარე, თუ ვერ დამეხმარები, ხელს ნუ შემიშლი მაინც. (ხვარამზეს) შვილო! ენდე ჩემს გამოცდილებას. გიმეორებ, ვერ შესძლებ მიქელა ყარაძიაშვილის ოჯახის წევრობას. ჩვენ და ისინი უცხონი ვართ ერთმანეთისათვის. იქ ყველა შრომობს და როგორ შესძლებ შენ ისეთი მძიმე ულლის გაწევას? ჩემო მალხაზო! მამაშენი გიმზადებს შესაფერ კერას და, რომ ეს ასეა, მაგაში ეჭვს ვერ შეიტან. მიპასუხე, რომ თანახმა ხარ, რომ კვლავ მენდობი, გჯერა ჩემი და გამიგონებ: სთქვი, შვილო, სთქვი!

**ხვარ**. ოჰ, ღმერთო ჩემო! რა დღე გამითენდა! (სწრაფად გაემართება აივნისკენ)

**რეზ**. (სასტიკად) ხვარამზე! საით (ხვარამზე კიბეზე შეკრთება უეცრივ და შედგება) ყოყმანის დრო წავიდა. უბედურო! გარბიხარ მაშინ, როცა შენი ბედი უნდა გადაწყდეს? არა, ეგ წარმოუდგენელია. შენ მართლაც უნდა უპასუხო მამას, ვით შეჰფერის დარბაისელ ქალს. დღეს უნდა დაამტკიცო, რომ გაქვს გული, რწმენა, მიზანი, რომ ხარ პიროვნება და გულწრფელად ეტრფი ხალხსა და მის საუკეთესო წარმომადგენელს—ყარაძიაშვილს, თუ არა, მე შენ შეგიძულებ, გამოგიტირებ, ვითარცა სულით გლახაკს, და სამუდამოდაც მიგატოვებ. აი, ჩემი უკანასკნელი სიტყვა. ახლა როგორც გნებოს.

**ხვარ**. (წელში გაიმართება, აღელვებას იკავებს, შემდეგ მამას დინჯად და მკაფიოთ) სათაყვანო მამა! თუ ჩემი კანონიერი და თავისუფალი მისწრაფება თქვენ ასე ძლიერ გაღონებთ, მზადა ვარ უარ ვყო იგი და პირადი ბედნიერება ვანაცვალო თქვენდამი განუსაზღვრელ სიყვარულს და არა წოდებრივ „ცრუ შეხედულობას“. დაე, აქვე ჩასჭკნეს და ჩაჰქრეს ჩემი გაუფურჩქნავი ყმაწვილ-ქალობა და სულიც აქვე ამომხდეს.. ხოლო, მამილო, გადაჭრით გიცხადებ, ამ გულს განუსჯელად ვერვის ვაკუთნებ.

**ელიფ**. შენც ჩამწიხლე? შენც ჩამწიხლე? ვაი, ტიალო სიცოცხლევ! შვილები დავჰკარგე, გესმით, შვილები!... ხა, ხა, ხა... (ამ დროს რეზიკო უეცრივ დაეცემა სავარძელზე, თავს უკან გადახრის, თვალები და სახე დაებრიცება, ხელ-ფეხს გასჭიმავს და შემიასავით გაშეშებული გდია რამდენიმე წამს)

**ხვარ**. (შეჰკივლებს და ორივენი ერთად მივარდებიან)

**ელიფ**. მიშველეთ!

**ხვარ**. უბედურო მამა! შენი რეზიკო კვდება, კვდება! (დაემხობა და მწარედ ქვითინებს)

**ელიფ**. (შფოთვით) რეზიკო? შვილო.! არ დამიქციო ოჯახი, უშენოდ ხომ დამექცა ოჯახი, თუ შენ არ მეყოლები, რა ოხრად მინდა ეს ავლადიდება, ან ეს გამწარებული სული?!.. ჩემო სიამაყევ! ქვეყანა შენით მიცნობს, შენით მაფასებს! თუ არა-და, გადასწვით ყევლაფერი! გადასწვით! გადასწვით!

**ხვარ**. (მასთან ერთად) გადასწვით, გადასწვით! (მცირე პაუზა)

**რეზ**. (წამოდგება შეშინებული) რა მოხდა? ვისა სტირიან? ვისა სტირიან? (ელეფთერ და ხვარამზე მივარდებიან და დაიჭერენ)

**ელეფ**. არავის, შვილო! ალბად, მოგეჩვენა.

**რეზ**. მომეჩვენა? ნუ თუ მართლა?!

**ელეფ**. ჭეშმარიტად.

**რეზ**. (ჯდება სავარძელში) ხვარამზე! წადი და მუსიკა გამაგონე!

**ელეფ**. (ხვარამზეს) აბა, ჩქარა!

**ხვარ**. კი, შენი ჭირიმე, ოღონდ გიამოს და სიცოცხლესაც შემოგწირავ. (შედის სახლში და წუთის შემდეგ მოისმის წყნარი მელოდია როიალზე. „Le lac de come“-დან, რომელიც ფარდის ჩამოშვებამდე გრძელდება. ელეფთერი გარინდებულ-გამტკნარებული ზის)

**რეზ**. (პაპიროზს გააბოლებს. პაუზა. შემდეგ მამას გადახედავს) მამა, ცუდათ გავხდი. ძალიან დარდობთ?! (მცირე პაუზა) ეხ, მამავ, დროა მოუსმინო ექიმ-შვილის გულწრფელ აღსარებას. (პაუზა) მამა! მე შემიპყრო უკურნებელმა სენმა, რომელმაც ხელი ამაღებინა და ჩამომაშორა ყოველისფერს, რითაც ვცოცხლობდი. ჩემი სხეულის თან-და-თანი მოშლა ექვს გარეშეა ასე რომ, კვლავ ჩემი იმედი ნულარ გექნებათ. თუ ერთმა შვილმა მოჰკლა დედა, მეორემ შეიძლება მამა მოჰკლას, ან სხვა ვინმე, და ვინ იცის რეეზს არ ჩაიდენს. ყოველივე ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მიმართულებას მიიღებს თვით სენი. (ელეფთერს წასკდება ცრემლთ ნაკადული) ნუ სტირით, მამა! ნუგეშად გრჩებათ სიცოცხლით სავსე, მზეთუნახავი ქალი, ვისზე ფიქრმაც ლამის გამაცოფოს და ჭკუიდან შემშალოს. გულკეთილო და მოსიყვარულევ! ნუ გახდებით მიზეზი პირმშო ქალის დაღუპვისა, ნუ გადაუგდებთ მას ისეთ უზნეო კაცს, როგორიცაა თავად მანუჩარის სანეფო ვაჟი—დათა, და ნუ სწუნობთ სალსა და განათლებულ ხალხის შვილს. მამა, თუ გსურთ ააცდინოთ ოჯახს გადაშენება; და თუ გინდათ მადლობით მოგიგონოს შთამომავლობამ, მოახდინეთ ეს სანატრელი საქმე: შემოუშვით ჩვენი ოჯახის დამპალ წიაღში მზის სხივი და მჩქეფარე ნაკადული სიცოცხლისა. დაე, რაც ჩვენს ქვეყანაში ლამაზი და ჯანსაღია, ერთი მეორეს შეესისხლხორცოს და მით შეჰქმნან ერის ძლიერება და სახელი.

**ელეფ**. (წამოდგება. მცირე პაუზის შემდეგ, ცრემლთ მოწმენდით) შვილო! თუკი შენ ეს გიამება და ცოცხალი მეყოლები, იყოს ნება ღვთისა. მე თანახმა ვარ.

**რეზ**. ოჰ, მამა! რა მოხარული ვარ, რომ შესძელით თქვენს წინააღმდეგ ნაბიჯის გადადგმა. ეს მსხვერპლია და მეც ამას მოვითხოვდი თქვენგან! (მიიხედავს სახლისკენ) ნუ გეშინიან, ჩემო უმანკო! დაჰკა მხიარულად. დღეიდან შენი მომავალი უზრუნველყოფილია. (მიუბრუნდება ელეფთერს და ჩაეკონება) მამავ!..

**ფ ა რ დ ა**

**ტრიფონ რამიშვილი**

(დასასრული იქნება)

# მიმიკა

(ფრანგულიდან)

## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა*)

მიმიკი არის ენა, რომელსაც
ხმარობდენ პირველნი ადამიანნი თავიანთ გრძნობებისა და
სურვილის გამოსახატავად.
**(ბერნიე)**

სასცენო ხელოვნება დამყარებულია ორს უმთავრეს საგანზე—დიქციასა და მიმიკაზე. თუ მსახიობს კარგი დიქცია აქვს და მიმიკა არ უვარგა, ის თავის დღეში ვერ მოახდენს დიდ შთაბეჭდილებას საზოგადოებაზე. მართლაც, ოდესმე გკითხამთ თქვენი თავისათვის, თუ რისთვის დადიან თეატრში? რას ეძებენ იქ? რაღა თქმა უნდა, თეატრში დადიან იმიტომ, რომ ნახონ და გაიგონ განსხვავება, რომელიც არსებობს წაკითხულსა და ნათამაშევ პიესის შორის, ის განსხვავება, რომელიც არსებობს ლიტერატურულ და ცოცხალ ნაწარმოების

*) ამით ვიწყებთ ბ. გ. ჯაბადრის ფრიად საყურადღებო წერილების ბეჭდვას და ამასთანავე არ შგვიძლია გულწრფელი მადლობა არ გამოვუცხადოთ პატივცემულს ავტორს ასეთი წერილებისა და სურათების მოწოდებისათვის. შემდეგ ნომრიდან დავიწყებთ სურათების ბეჭდვასაც.

**რედ.**

შუა. რას ნიშნავს ეს ფრაზა: პიესის თამაშობა, მსახიობთა თამაში? განა ეს სხვა რამეა (გარდა დიქციისა), თუ არა მიმიკა? ე. ი. მიხვრა-მოხვრა, სახის გამომეტყველება და ყველა ის მოძრაობა, რომელსაც მსახიობი აკეთებს სცენაზე?

რათ ამბობენ—ეს და ეს მსახიობი მეორეზე უკეთესიაო, მაშინ, როდესაც მეორის დიქცია იმდენადვე კარგია, როგორც პირველისა? იმიტომ, რომ პირველის მიმიკა უკეთესია, ვიდრე მეორესი. რასაკვირველია, მხოლოდ ეს არის ერთად ერთი მიზეზი. ცარიელ სიტყვებს, რაც უნდა გრძნობით სთქვათ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მაყურებელზე, თუ თქვენ სიტყვებს არ **მოსდევს** შესაფერი მიმიკა, ე. ი. სახის გამომეტყველება, ან კიდე სხვა შესაფერი მოძრაობა. დიდი შეცდომა იქნება, ჩემის მხრივ, რომ აქვე არ მოვიყვანო ერთი ამბავი ამის შესახებ ბ. ჟაჰანის მემუარებიდან. ჟაჰან გამოჩენილი მსახიობია და რეჟისორი „ოდეონში“ (პარიზის ნაციონალური თეატრი). მისი მასწავლებელი იყო თვით რენიე. აი რას ამბობს ჟაჰანი: „რენიესთან მივედი, მასწავლებელთა მასწავლებელთან და ვუთხარი, რომ სცენისთვის მინდა მოვემზადო და გაკვეთილები მომეცით-მეთქი. მან იმ წამსვე წამაკითხა ერთი ფრაზა, აი ეს ფრაზაც: „ოჰ, რა ტკბილია, რა სასიამოვნოა ცხოვრება“ — წავიკითხე ეს ფრაზა ძალიან მხურვალედ, გრძნობით, ერთი სიტყვით, ძალიან კარგად.

— ძალიან კარგად წაიკითხეთ ეს ფრაზა, მითხრა მან ბოლოს, დიდის გრძნობით, გეტყობათ ტემპერამენტი არ გაკლიათ, მაგრამ მან ჩემზე, უბრალო მსმენელზე, სავსებით ვერ მოახდინა შთაბეჭდილება.

და როცა მე გაკვირვებით შევხედე, და შემდეგ შერცხვენილმა თავი დავღუნე, მან განაგრძო — ნუ შესწუხდებით, ყმაწვილო, ამ ნაკლსაც მალე გაისწორებთ, თუ იშრომებთ.

— იცით, რატომ არ მოახდინა ჩემზე სრული შთაბეჭდილება თქვენ-მიერ წაკითხულმა ფრაზამ? იმიტომ რომ ეგ თქვენი აღტაცება, „ოჰ! რა ტკბილია, რა სასიამოვნოა ცხოვრება“, თქვენმა სახემ არ გამოხატა. რაც უნდა გრძნობით წაიკითხოთ ეს ფრაზა, და წარბები აგრე შეკრული გქონდეთ, შთაბეჭდილებას არ მოახდენს. იკარგება მაგ ფრაზის ძალა; პირიქით, გახსენით წარბები, გაიღიმეთ ცოტათი, და მაშინ სულ სხვა იქნება, მაშინ მას სულ სხვა მნიშვნელობა ექნება, და მაყურებელი, მსმენელი, თქვენთან ერთად აღტაცებაში მოვა, — თქვენმა სახემაც უნდა გამოხატოს თუ არა, რომ „ცხოვრება ტკბილია და სასიამოვნო“.

ხომ ჰხედავთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მიმიკას მსახიობისათვის.

სასცენო ხელოვნება ისეთივე ხელოვნებაა, როგორიც მუსიკა. მაგალითად, როგორც არ შეიძლება პიანოზე კარგა დაკვრა, მინამ არ ისწავლით გამებს, აგრედვე :რ შეიძლება ხეირიანი თამაში მინამ არ ისწავლით სასცენო გამებს. ჩვენი ძველი გამოჩენილნი მსახიობნი, უფრო დიდებულნი იქნებოდენ, რომ მათ სწავლა, ე. ი. ელემენტალური ცოდნა ჰქონოდათ. ამ ზამთარს (1910 წ.) „დროების“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ინანის წერილი ჩვენი თეატრის შესახებ. (იყო სხვა წერილებიც, მაგრამ მე ეს წერილი ყველაზე სერიოზულად მიმაჩნია). იქ, სხვათა შორის ეწერა: „თუ ჩვენი თეატრი დაქვეითდა ანუ სწორედ, ერთ ადგილს არის გაჩერებული, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სცენისაკენ მიიწევენ ყველა უვიცნი ბიჭ-ბუჭნი, რომელთაც ცხოვრებაში გზა ერიათ“ და სხვა? თუმცა ეს ძალიან სასტიკი აზრია, მაგრამ სამწუხაროდ ცოტა სიმართლეც არის შიგ. მე არა მგონია, და ვისურვებ მართალი გამოვდგე, რომ სცენაზე ახალგაზდობა მხოლოდ იმიტომ მიიწევს, რომ მათ გზა-კვალი ერიათ ცხოვრებაში და ინჟინრები, ვექილები ან კიდე ექიმები ვერ გამოვიდნენ, არამედ იმიტომ, რომ მათ ეს ხელოვნება უყვართ, და სულით და გულით უნდათ ჩვენი თეატრი წინ წასწიონ. რაღა თქმა უნდა, სიყვარულს და სურვილს ძალიან, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სამწუხაროდ ეს საკმარისი არ არის. რაც უნდა ნიჭიერი იყოთ, საჭიროა ამ ხელოვნების საფუძვლის ცოდნა. ნიჭს, რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნიჭიერს შეუძლიან ნამდვილი არტისტი იყოს, მაგრამ ნიჭი, როგორც ვსთქვი, საკმარისი არ არის, —საჭიროა შრომა, შრომა და შრომა.

მოვიყვან ერთ მაგალითს: მონე სული, საფრანგეთის გამოჩენილი მსახიობი, რომლის სურათიც მოთავსებული იყო ჩვენს ჟურნალში (იხ. თეატრი და ცხოვრება № 20), ძალიან ნიჭიერი მსახიობია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ჯერ ერთი სკოლა გაიარა, და რვა წელიწადი, გესმით რვა წელიწადი მუშაობდა, რვა წელიწადი სწავლობდა „ჰამლეტის“ როლს, და მხოლოდ

რვა წლის შრომის შემდეგ გამოვიდა სცენაზე ამ როლის სათამაშოდ...

ჩვენი მსახიობი კი... მაგრამ ამაზე ლაპარაკი არა ღირს.

დიდი ნაბიჯის გადადგმა იქნება წინ, რომ მსახიობმა, რომელსაც უნდა თავის თავი შესწიროს სამშობლო სცენას, გაიგოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის მიმიკის კარგად ცოდნას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა ამასთანავე სწავლა, სისტემატიური მუშაობა: ვის მიჰმართოს? არის ჩვენში სკოლები, ე. ი. ხეირიანი სკოლები? არა, არც მასწავლებლები, რასაკვირველია; საზღვარ გარედ წასვლა სწავლისთვის-კი ყველას არ შეუძლიან, ამიტომ მე საჭიროდ ვცანი მიმეწოდებინა ახალგაზდა კოლეგებისთვის ეს შრომა, რომელიც ჩემი არ არის. მე მხოლოდ ვარ შემდგენელი, და თუ შეიძლება აგრე ითქვას, შემკრებელი დიდებულ რეჟისორთა და მასწავლებელთა აზრებისა, ნაწერებისა, თუ ნათქვამისა.

ამ შრომაში მოთავსებულია მრავალი სურათი, რათა ნათლად დაინახოს ახალგაზდამ ყოველივე ის გამომეტყველება, რომელსაც სიტყვებით ვუხსნით. რაღა თქმა უნდა ამ შრომას ბევრი ნაკლია, აქვს მაგრამ ამითი გულს არ ვიტეხ, რადგან მას აქვს ერთი დიდი ღირსება: ეს შრომა ქართულად პირველია. თუ მან მიახწია იმას რომ სხვებმა შეასწორონ ეს შეცდომები და გაუხსნან გზა ასეთ საჭირო ხელოვნებას მე დიდი მადრიელი ვიქნები ღ ჩემი მიზანიც მიღწეული იქნება.

მეტიც არ მინდა!..

ახლა-კი საქმეს შევუდგეთ, ძვირფასო კოლეგავ, შენ იცი, როგორც მასახელებ, და როგორც გულმოდგინეთ ისწავლი, თუ რამე ვერ გაიგო, ან კიდე მოგინდეს მარტივად გაგება რისამე, ნუ გეთაკილება, მოიწერე რედაქციაში წერილი ჩემს სახელზე; მე ყოველთვის მზადა ვარ დიდის სიამოვნებით გაგცე პასუხი შენ, შენს მეგობრებსა და ნაცნობებსაც, იმედი მაქვს დამაკმაყოფილებთ.

**გიორგი ჯაბადარი**

ბრიუსელი (ბელგია)

# სახალხო სცენა

ცხოვრება წინ მიისწრაფის და სცენასაც სთხოვს წინ-მსვლელობას.

იყო დრო, მთელ საქართველოში ერთი სცენაც არ გვქონდა, თეატრი ჩვენთვის უცხო ხილი იყო.

დღეს-კი იშვიათია დაბა და სოფელი—წარმოდგენები არ იმართებოდეს.

მაგრამ რას ვხედავთ აქ, თბილიში?—ოთხი სახალხო აუდიტორია არსებობს და არცერთი მათგანი ვერ ემსახურება თავის დანიშნულებას. ესენი უმეტეს შემთხვევაში უმოქმედოთ არიან.

იქნებ საჭირო არ იყოს?

ცხოვრება-კი სწორედ იმას გვეუბნება, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა სახალხო სცენა და მით უფრო ჩვენთვის, ქართველთათვის; სახალხო თეატრმა უნდა აღზარდოს მსმენელ—მაყურებელი დიდი თეატრისათვის.

სახალხო თეატრმა უნდა შეიტანოს ხალხის ფართე მასაში სცენისადმი სიყვარული.

სახალხო სცენამ უნდა გაუფაქიზოს ხალხს გემოვნება.

სახალხო სცენამ უნდა შეჰქმნას აუდიტორია, სადაც ხალხი გაივლის პირველ საფეხურებს და მომზადებული, უკვე გემო განვითარებული, მხოლოდ მაშინ დასდებს ფასს დიდი, რიგიანად დაყენებული თეატრის რეპერტუარს...

ხალხში კულტურა მაშინ იდგამს ფეხს და მიზანს აღწევს, როდესაც ეს კულტურა ბრწყინავს არა ერთ დარგში ან კლასში, არამედ როდესაც იგი გავრცელებულია მთელ ხალხში—დემოკრატიაში.

ჩვენი თეატრი მხოლოდ მაშინ აყვავდება, მხოლოდ მაშინ გახდება იგი წინამორბედი და ჩაუდგება ხალხს სათავეში, როდესაც სცენისადმი სიყვარული შევა და გავრცელდება თვით ხალხში.

დააყენეთ თეატრი უმაღლეს საფეხურზე, რომ ყველამ მიიღოს მისგან ის ესტეტიური და ხელოვნური სიამოვნება, რომელითაც სტკბება ხალხის ერთი ნაწილი...

აი, რატომ არის საჭირო სახალხო სცენა!..

ჩვენდა საუბედუროდ, სახალხო სცენა დაივიწყა ინტელიგენციამ. ორში ერთი: ან ჩვენებური სიზარმაცე, ან ხალხი და სცენა არ უყვართ. ბევრმა ინტელიგენტმა. რომელიც ჩვენი სცენის დაცემას იერიქონის საყვირით გაჰკივის არც-კი იცის---არსებობს თუარა თბილისში სახალხო სცენა და თუ არსებობს—სად? ვინ მართავს წარმოდგენებს, როგორ და რანაირად? ყურს არ უგდებს ინტელიგენცია, გვერდს უქცევს დრამ. საზოგ. გამგეობაც, იგი არ აქცევს შესაფერ ყურადღებას, არ უწევს ხელმძღვანელობას და ამიტომაა თავგანწირული შრომა პატარა-პატარა ჯგუფების, რომელთაც არავითარი ორგანიზაცია არა აქვთ, რის გამო სასურველად ვერ აწყობენ საქმეს.

მაგალითისათვის დავასახელებ ვერის სახალხო აუდიტორიას, რომელსაც არ ახსოვს ინტელიგენცია გაჭკარებოდეს, არ იცის, რაა რეჟისორი, წესიერი რეპერტუარი, მაგრამ ზოგიერთ მდაბიო პირების თავგანწირული შრომა უძღვება ამ საქმეს და აგერ მეოთხე წელიწადია ქართული წარმოდგენები იმართება.

აუწერელია ყველა ის, რა ტანჯვასაც განიცდიან ეს ჯგუფები: არ ერიდებიან არავითარ დაბრკოლებას, მათი ენერგია უსაზღვროა და აი, მათ რომ ხელმძღვანელნი ჰყავდეთ, სახალხო სცენის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

ცხოვრებამ გვასწავლა, რომ ის ბრწყინვალე ინტელიგენცია, რომელიც „დიპლომებით“ იკაფავს გზას, ამ საერთაშორისო შრომისათვის თავის ნაზს და ფაფუკ ხელს არ გამოგვიწვდის.

მაშ რა ვქნათ?

საჭიროა ყველამ, ვისაც-კი უყვარს სახალხო სცენა, შეიგნოს რომ ძალა ერთობაშია, საჭიროა მჭიდრო ორგანიზაცია. შევაერთოთ ეს პატარა ჯგუფები და ერთ განუყოფელ ერთეულად ვაქციოთ.

მივცეთ გზა შესაფერ რეპერტუარს, ერთის ძალღონით, ერთის სიყვარულით მოვჰკიდოთ ხელი ამ პატიოსნურს და ნაყოფიერ შრომას.

მხოლოდ შეერთებულსა და წესიერად შეკავშირებულ ძალას შეუძლია ასწიოს სახალხო სცენის პრესტიჟი.

რაც შეიძლება მალე უნდა შეიკრიბონ სახალხო სცენის მუშაკნი, ერთი პროგრამა შეიმუშავონ სახალხო თეატრთა მოქმედებისათვის, თორემ უმოქმედოთ დარჩებიან ვერის და ავჭალის აუდიტორიები და ავლაბრის თეატრი.

**კლიაჩა**

## წერილი რედაქციის მიმართ

**ბ. რ-ო!** თქვენი ჟურნალის მე 25 №-ში მოთავსებულია ბ. ილია ბახტაძის წერილი „პროვინციულ წარმოდგენების“ შესახებ.

არ ვიცი, ვისთვის რა საჭიროა ბ. ი. ბახტაძის არა მკითხე თანაგრძნობა, და მით უფრო ქართველ არტისტებისათვის. იგი პროვინციაში წარმოდგენების გამართვის საჭიროებას იმდენ ყურადღებას არ აქცევს, რამდენსაც „მშიერ არტისტების“ გაძღომას, მათთვის სამოწყალო ლუკმა-პურის მიწოდებას. მეტად გულ-ჩვილი ბრძანებელა ბ-ნი ბახტაძე. უთუოდ ქართველ საზოგადოების ნერვებზე უნდოდა ემოქმედნა, როდესაც ასეთ სიტყვებს ხმარობდა მის „წერილში“. „ქართველ არტისტებს ზამთრობით გაძალღებით ლუკმა-პური აქვთ, ზაფხულობით ეს **ბედით ჩაგრულნი** „შიმშილობენ“. „ხონმა სამს არტისტს ამ ზაფხულს ლუკმა გაუჩინა და მაშასადამე შიმშილით სიკვდილისაგან დაიხსნა“... და ურჩევს სხვა დაბებსაც—მიჰბაძონ ხონს, დაარსონ საზოგადოება: მართონ წარმოდგენები იმიტომ კი არა, რომ ხალხში განათლება შეიტანონ: არა! იმიტომ რომ უსაქმოთ დარჩენილ არტისტებს „ლუკმა“ მისცენ. ეს იმასა ჰგავს, რომელიმე სოფელში სკოლა გახსნან იმიტომ, რომ მასწავლებელი შიმშილით არ მოკვდესო. ეს ლოღიკა გირვანქულია.. მართალია, ქართველი მსახიობი გაჭივრებულია, მაგრამ არა იმდენად, რომ ბ. ი. ბახტაძის სანტიმენტალური თანაგრძნობა სჭირდებოდეს. იგი სულ არ დაცემულა, მხოლოდ წაიჩოქა და ამიტომ მისთვის ასეთი წიხლები—ცოტაარ იყოს—ნაადრევია. წერილის შინაარსი კი არ მეტკინა—მეწყინა...

**ვალ. შალიკაშვილი**

# დაბა-სოფლები

**დ. ხონი.** კვირას, 4 ივლი. წარმოადგინეს ანდრეევის ცნობილი პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. ნ. გვარაძე საუცხოვო გლუხოვცევი იყო. მის ბუნებრივ ტირილს, თვალებისა და სახის გამომეტყველებას და პაუზებს აღტაცებაში, მოყავდა საზოგადოება. ასევე აღტაცებაში მოიყვანა მოხდენილი თამაშით გოგოლაშვილმა ოლოლის როლში. საუცხოვო რამ იყო აგრეთვე ევდოკია ანტონოვნას როლში ქ-ნი ნ. ჯავახიშვილი. კარგი იყო ონოფრეს როლში ვ. შალიკაშვილი, განსაკუთრებით მეოთხე მოქმედებაში. პიესის პირველმა მოქმედებამ მკრთალად ჩაიარა. სტუდენტების არა ბუნებრივი მიხვრა-მოხვრა და როლის ნაკლებ ცოდნა ძრიელ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა საზოგადოებაზე, პირველ მოქმედებაში. შემდეგი წარმოდგენები გაიმართება 10 და 11 ივლისს ვალ. გუნიას მონაწილეობით: 10 ივლის წარმოდგენილი იქნება „მეგობრობა“ შიუკაშვილისა, 11-ს კი „გაზაფხულის ნიაღვარი“.

— **ვ. შალიკაშვილის ბენეფისი** გაიმართება 25 ამ თვეს. წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა „ოჯახი“.

— **ნ. გვარაძის ბენეფისი** გაიმართება 1 მარიამობისთვეს. წარმოადგენენ რიშკოვის დრამას „პირველ მერცხალს“

**ერთი ვინმე**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

ჟურნალი ,,თეატ. და ცხოვ.'' ბეჭდავს განცხადებებს

# სახალ. გაზ.

ყოველ-დღ. საპოლიტ. სალიტერატ.

ამოცემა, კვირეული სურათებიანი დამატებით წლიურად 8 მან. ნახევარ წლით 4 მან 50 კ. რედაქტ.-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილისა**

ადრესი: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Сем. Пашалашвили.

---

# ახალი გზა

ყოველდღ. საპოლიტიკ. სალიტერ.

გაზეთი. წლიურად 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. საზღვარ-გარედ 14 მან. ნახევარი წლით 7 მან. რედაქტ.-გამომც. **ზ. ტყეშელაშვილი**

ადრესი: Тифлисъ, тип., «Шрома»,

**Кал. Кон. Цуладзе.**

---

# ЗАКАВКАЗЬЕ

Ежедневное изданіе. За год въ Тифлисѣ 6 руб. полгода 3 р. 50 к., въ другіе города—8 руб.,—4 р 50 к.—Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова:

Ред-изд. Кн. **Г. І. Амираджиби**.

---

# НОВАЯ РѢЧЬ

**Ежедн. общ.-полит. литературная газета**

На годъ 7 руб., $^1/_2$ года 4 руб. помѣсячно 75 коп. Тифлисъ, Дворцовая ул. д. Груз. Двор. ред. «Новая рѣчь».

Ред. **Р. Д. Бебіевъ**. Из. **П. А. Готуа**

---

# ჯეჯილი

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი. XXI **წელ**. წლიურად 4 მან. თითო წიგნი 40 კ.

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თ.- წერეთლისა**

---

# ნაკადული

საყმაწვ. სურათ. ჟურნ. წელ. VI.

**24** წიგნი მცირე წლო---თვის **12** წიგნი მოზრდილთათვის

4 **პრემიით**. წლ. 5 მან. ნახევ. წლით 3 მან.

რედ. **ნ. ნაკაშიძე** გამომც. **პ. ი. თუ—შვილი**

---

# დ. სურამი

ნოდიას ბაღში

კვირას 11 ივლისს 1910 წ. თბილ. ქართ. თეატრის მსახიობი ზ. მ. საფაროვი გამართავს წარმოდგენას სალიტერატურო განყოფილებით

**წარმოდგენილი იქნება**

ჯერ **დაიხოცენ** მერე **იქორწილეს**

**კომ. 2 მოქ. რ. ერისთავისა**

**მონაწილეობენ**: ქ. ქ. ნებიერიძისა, სურამელი, ბ. ბ. საფაროვი, ვ. ხანი, გორელი და სხვა.

სალიტერატურო განყოფილება

თავიანთ ნაწარმოებს წაიწითხავენ თბილისიდან ჩამოსულნი ქართველი ახალ. მწერლები: ია ეკალაძე, ირეთელი, დ. კასრაძე, დ. მეტრეველი, ი. ნაკაშიძე, ნარკანი, ვ. ხანი, ტ. რამიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ს. ყიფიანი—ადგილობრივნი: ნ. გიგაური გ. მოუსვენარიძე. **ადგილების ფასი** 30 **კაპ.**—2 **მან-დე** დასაწყისი საღ, 8 საათ. **ბაღში დაუკრავს გურულების სამხედრო მუსიკა.** ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

რეჟისორი **ზ. მ. საფაროვი**. გამგე **ნ. რაჟდენიშვილი**

მადნეულის, ხილეულის და სამკურნალო წყლის

# ქ ა რ ხ ა ნ ა

# მ. ლაღიძის და ამხ-სა

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411.

# ჩვენი ქარხნის წყლები

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნით და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ «ვაკუუმით» მანქანებით სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

მუშტარი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენი ქარხნის

# წ ყ ა ლ ი

**მშვენიერის გემოსი და სუნნელებისაა,**

და თბილისის სამკურნალო განყოფილების ანალიზითაც

მ ი ს ი კ ა რ გ ი ღ ი რ ს ე ბ ა დ ა ჯ ი ლ დ ო ვ ე ბ უ ლ ი ა

ამიტომაც ჯანმრთელობის გულისთვის ეს ქარხანა ურჩევს ბბ. მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ რადგან ზოგიერთი ვაჭრები ჩვენის სახელით სხვა ქარხნების უფრო იაფსა და მიმსგავსებულ წყალს ასაღებენ.

მოითხოვეთ ყველგან **მ. ლაღიძის** და ამხანაგობის **წყალი**

**და ამასთან მიაქციეთ ყურადღება**

**თავსაცობი ჩვენი ქარხნის ბეჭდით**

ქარხანა ხილეული წყლით **ფარჩინებულ თვისებისთვის** დაჯილდოვებულია ოქროს და ვერცხლის დიდი მენდლით 10—4

განყოფილება „პროგრესის“ სტამბისა, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სახლში